

**აუდიტორიის პირისპირ
(ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს)**

III

წინამდებარე სტატიით სრულდება ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვა. სტატია ნაწილია ერთიანი ნაშრომისა, რომელიც დღევანდელი საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში აქტიური უნარ-ჩვევების, მეტყველებისა და წერის სიზუსტით სწავლებას შეეხება. მისი ძირითადი ადრესატია ანგლისტიკის სპეციალობის შუალედური დონის სტუდენტობა, თუმცა აქ გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, უფრო ფართო აუდიტორიისთვისაც აღმოჩნდეს მისაღები.

ნაშრომის I ნაწილი გრამატიკის სიზუსტით სწავლებას დაეთმო [1, 315], მეორე – ლექსიკისას [2, 323]. ამჯერად განხილვის საგანს ინგლისური ენის იდიომატიურობა შეადგენს.

იდიომატიურობა, ჩვეულებრივ, ლექსიკასთან ასოცირდება. მაშასადამე, აქ გრძელდება საუბარი ლექსიკის შესახებ. როგორც ცნობილია, გარდა ლექსიკურისა, არის გრამატიკული იდიომატიკა. იგი არც თუ მცირედაა წარმოდგენილი ზოგადად ინგლისურში, კერძოდ კი – ჩვენს სასწავლო მასალაში და ხშირად საჭიროებს გააზრებულ მიდგომასა და საკითხთა გონების თვალთ ხედვას. ამრიგად, განსახილველი საკითხები მჭიდრო კავშირშია ნაშრომის როგორც I, გრამატიკულ, ასევე II, ლექსიკურ ნაწილთან, რაც მთლიანი ნაშრომის თემატურ ერთიანობას განაპირობებს.

პრობლემის სისრულე ითხოვს განხილვაში ფონეტიკის ჩართვას. ამასვე ითხოვს ენის დონეებრივი ორგანიზაციის მოდელი – ლექსიკა, გრამატიკა და ფონეტიკა ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნის, რაც ფონეტიკასთან მიმართებაში განსაკუთრებით ყურადსაღებია, როცა საქმე ზეპირი მეტყველების (ბგერების, ინტონაციის, მახვილის და ა.შ.) სიზუსტით სწავლებას ეხება.

შესაბამისად, სტატია შედგება (I) და (II) მონაკვეთისაგან: ერთი იდიომატიკას შეეხება, მეორე მოკლედ მიმოიხილავს ფონეტიკას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პუბლიკაციის ქარგაში ფონეტიკის ჩართვა ერთიან ნაშრომს თანმიმდევრულობას შემატებს და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს მას.

განსახილველი მასალის მოცემულობა ასეთია:

(I) მონაკვეთი – იდიომატურობა როგორც ენის უნივერსალური მახასიათებელი; იდიომატურობა და ინგლისური ენა.

1. ლექსიკური იდიომატიკა: (ა) იდიომატიკა დღევანდელი სწავლების კონტექსტში; (ბ) რეტროსპექტივა: იდიომატიკა და მხატვრული ტექსტი;
2. გრამატიკული იდიომატიკა – ენის სინტაქსურ-მორფოლოგიური პლანის ზოგიერთი თავისებურებანი.

(II) მონაკვეთი – ფონეტიკა: ფონეტიკის სწავლების სპეციფიკა და EFL მასწავლებელი.

შენიშვნა 1. იგი საკითხთა თანმიმდევრობას შეეხება. (I) მონაკვეთის (ბ) პუნქტს სტატიის ორგანიზაციის თვალსაზრისით აქ კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი; თუმცა, შინაარსობრივი დატვირთვით ის ერთგვარად ამოვარდნილია მთლიანი კონტექსტიდან (ამაზე თავად სიტყვა რეტროსპექტივა მეტყველებს). ამიტომაც აღნიშნული პუნქტი (II) მონაკვეთის ბოლოში იქნება გადატანილი.

შენიშვნა 2. იგი სტატიის შინაარსს შეეხება. ეს შინაარსი სპეციფიკურია, რადგან სწავლების პრაქტიკულ საკითხებს ფართო თეორიულ ჭრილში განიხილავს და თავისი არსით, ისევე როგორც ერთიანი ნაშრომი, მეტყველების სიზუსტეზეა ორიენტირებული.

შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ სტუდენტი – მომავალი ანგლისტი, ან თვით მასწავლებელი-პრაქტიკოსი, საჭიროა ფლობდეს და იყენებდეს საკითხთა აქ წარმოდგენილ თეორიულ სპექტრს – დღევანდელ კონტექსტში ეს სწავლებისათვის დამაბრკოლებელიც იქნებოდა. პირადად ჩემთვის ეს არის ცოდნის ფარული მარაგი, ის ფონი, რომელიც, როგორც წესი, აუდიტორიული მუშაობის მიღმა რჩება; ამასთან იგი, ენის პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტთა ურთიერთგამჭოლ ერთიანობაზე დაყრდნობით, კანონზომიერებათა და მიზეზ-შედეგობრიობის ხედვის ფართო შესაძლებლობებით მნიშვნელოვანწილად მიაღვივებს პროფესიულ საქმიანობას. აღნიშნული (მეტ-ნაკლები სიცხადით) შეეხება ნაშრომის სამივე ნაწილს, ხოლო თეორიის სიჭარბე III, დამამთავრებელ ნაწილში იმითაც აიხსნება, რომ იდიომატიკის თემაზე მუშაობის პროცესში საკითხთა რიგი ჩემს წინაშე ახლებურად „იხსნებოდა“ და სიზუსტით სწავლების ფართო შესაძლებლობებს წარმომიდგენდა.

აქ გამოთქმული აზრი ალბათ შენიშვნაზე მეტად წინასიტყვაობას შეესაბამება: ახლა, როცა იდიომატიკაზე მუშაობის დიდი ნაწილი გასრულებულია, ხოლო მასალის მოცულობა – სავარაუდოდ დაგეგმილზე ვრცელი, ვფიქრობდი თემატიკა შემეკვცა და აღნიშნული მოცემულობიდან ზოგიერთი პუნქტი ამომედლო, მაგრამ გარკვეული მოსაზრებით მოცემულობა უცვლელი დავტოვე.

შენიშვნა 3. იგი ტერმინოლოგიური ხასიათისაა. იდიომატურობა ზოგად მახასიათებელს გულისხმობს; მასთან ახლოსაა იდიომატიკა, თუმცა, ვფიქრობ, ეს უკანასკნელი უფრო მეტად კრებითობაზე, ამა თუ იმ ენის იდიომათა ერთობლიობაზე მიანიშნებს. იდიომა ენის ცალკეული იდიომატური ერთეულია, რომელიც

რაიმე ლექსიკური (მაგ. 1) თუ გრამატიკული (მაგ. 2) თავისებურებით გამოირჩევა: მაგ. (1) to see eye to eye with sb. [3, 17]; მაგ. (2) Boys `will be boys! [4, 12].

მონაკვეთი (I)

იდიომატურობა უნივერსალური მოვლენაა, იგი ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალიაა. ცალკეული ენის იდიომატიკა როგორც სახელდების, ასევე ინფორმაციის სტრუქტურირების კუთხით ამ ენის სპეციფიკურ, გამორჩეულად მისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოაჩენს და მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კულტურის იმ ფართო კონტექსტის შესახებ, რომელსაც მოცემული ენა მიეკუთვნება.

იდიომატურობის არსი თავად ამ სიტყვის ძირში იკითხება: Gk. idiōma – ‘a peculiarity in language’, fr. idiō-omai – ‘make one’s own’; და იქვე: Idiom – 1. Special mode of expression, use or grouping of words, peculiar to a specific language. 2. General way of expressing ideas in a language; the language itself [5, 578].

ეს იდიომის მეტად ტევადი განმარტებაა, რადგან თანაბრად მიემართება როგორც ენის დონეთა სპეციფიკას, ასევე ენის გამომსახველობით პოტენციალს (შდრ. ტერმინი idiostyle – *მწერლის, შემოქმედის ინდივიდუალური სტილი*) და, ზოგადად, მხატვრული გამოსახვის რაიმე განმასხვავებელ, ორიგინალურ ნიშანს, მახასიათებელს (the modern jazz idiom [6, 493]; შდრ. აგრეთვე idiosyncrasy, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა *ადამიანის/ადამიანთა ჯგუფის რაიმე თვისება, ანუ ის, რაც მას სხვათაგან გამოარჩევს*) და ა.შ.

ამგვარად, იდიომატურობა ერთგვარი დიფერენციული ნიშანია, ენის (და არა მარტო ენის) „მეობის“ ერთ-ერთი მაჩვენებელი და ამ გამორჩეულობის შედეგად – გარკვეული მუხტისა თუ ენერჯის მატარებელი.

ენები, ცხადია, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იდიომატურობის ხარისხით. ჩვენს შესასწავლ ენასთან მიმართებაში ეს ხარისხი საკმაოდ მაღალია, რაც არაერთი ფაქტორითაა განპირობებული. ეს თეორიული განსჯის საგანია და მას ქვემოთ მხოლოდ გაკვრით შევეხები. აქ კი საკითხის პრაქტიკულ მხარეზე შევაჩერებ ყურადღებას.

რა დამატებით სირთულეს წარმოქმნის იდიომატიკა აუდიტორული მუშაობის პროცესში?

პირველ რიგში, გამოვყოფ საკითხის რაოდენობრივ მხარეს. მხედველობაში მაქვს იდიომატურ გამოთქმათა „სიუხვე“ თანამედროვე ინგლისურში. სირთულის შემცველია ასევე მათი შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებელი. ამათგან პირველი, რაოდენობრიობა, უმეტესად ლექსიკურ, მეორე კი როგორც ლექსიკურ, ასევე გრა-

მატიკულ თვისებურებებს მოიცავს. მაგალითები: (3) I'm glad we didn't have a change of heart [7, 174]; (4) They went to great lengths to make the party a success [3, 85]; (5) I've fallen out with my best friend (ibid); (6) What I want to do is work in the field of road building of the town [3, 166]; (7) I'm being a bit silly, aren't I [3, 165]. მოკლე კომენტარი: ამ მაგალითებიდან (6), (7), ასევე შენიშვნაში ზემოდამოწმებული (2) გრამატიკული სპეციფიკის შემცველია, ხოლო (3), (4) და (5), ასევე (1) – ლექსიკურისა. როგორც ითქვა, იდიომატიკის ლექსიკური და გრამატიკული ასპექტები ცალ–ცალკე იქნება განხილული.

ლექსიკური იდიომატიკა

იდიომატიკა დღევანდელი სწავლების კონტექსტში. აქ იდიომატიკა დისკურსის ქრილში განიხილება, რაც სრულ თანხვედრაშია ენის კომუნიკაციური ფუნქციის პრიმატთან. ამ კონტექსტში გამოვყოფდი ხმარების სინშირით გამორჩეულ ორ ჯგუფს: ტრადიციულ ფრაზეოლოგიზმებსა და ფრაზულ ზმნებს. ისინი ლექსიკურ იდიომებს წარმოადგენენ და ერთობლიობაში ლექსიკურ იდიომატიკას ქმნიან.

რატომ ლექსიკურს? ისევე, როგორც ლექსიკის ძირითადი ერთეული, სიტყვა, ლექსიკურ იდიომათა ორივე ეს სახეობა საგნისა თუ მოვლენის სახელდებას ემსახურება.¹ ეს საკითხის ფუნქციური მხარეა, ამასთან – ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან საქმე ეხება ლექსიკურ ფონდს, სიტყვათა მარაგის გამდიდრებას გამორჩეული, მხოლოდ მოცემული ენისათვის დამახასიათებელი გზითა და ხერხებით. სახელდებას ამ პროცესში, ცხადია, ენის სხვა პარამეტრებიც მონაწილეობენ. მხედველობაში მათქვს ლექსიკურ იდიომათა სტრუქტურა და სემანტიკა. რიგ სხვა საკითხთა შორის გასათვალისწინებელია მათი ხმარების სინშირე და რეგისტრი (მეტყველების სტილი. ეს უკანასკნელი წინამდებარე ნაშრომში არ განიხილება).

საანალიზო ენობრივ ერთეულთა სპეციფიკა განსაკუთრებით ნათლად იკვეთება მათს სემანტიკასა და სტრუქტურაში. მიიჩნევენ, რომ აქ ორი მახასიათებელია წარმმართველი: მეტაფორულობა და მდგრადობა. პირველი იდიომის შინაარსს შეეხება, მეორე კი როგორც ლექსიკურ, ასევე გრამატიკულ (სინტაქსურ-მორფოლოგიურ) მოცემულობას.

მეტაფორულობა (metaphoricity) სიტყვის/სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას გულისხმობს, ხოლო მდგრადობა (invariability/invariableness, fixity) – იდიომის ლექსიკურ-გრამატიკული შემადგენლობის უცვლადობას. I'm glad we didn't have a change of

¹ არის სხვა არგუმენტებიც. მათ მსჯელობის პროცესში შეეხება.

heart (მაგ. 3)² – ამ წინადადებაში ფრაზეოლოგიზმის ორივე თვისებაა მოცემული: a change of heart ნახმარია არაპირდაპირი მნიშვნელობით (a change in one's feelings, opinion, etc. [8,157]), რაც იდიომის მეტაფორულობას განაპირობებს. ამასთან, ძირითადი/საკვანძო სიტყვა heart მხოლოდით რიცხვში რჩება, თუმცა აზრობრივად მასთან დაკავშირებული ქვემდებარე *we* მრავლობითი დგას. ეს კი აღნიშნული იდიომის მდგრადობაზე მეტყველებს: გრამატიკული მოცემულობა არ იცვლება – უგულვებელყოფილია შეთანხება რიცხვში (რაც აქ ნორმაა). ფრაზული ზმნის მაგალითი: (8) He promised to call on us one of these days.³ შდრ. *He promised to call us on⁴ ... აქ სიტყვები call, on არაპირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი (შინაარსობრივი მხარე/სემანტიკა), მდგრადია და უცვლელი ამ სიტყვათა განლაგება (სტრუქტურული მხარე, ანუ სინტაქსური მოცემულობა). ლექსიკური მდგრადობის ნიმუში: “*we look forward to a holiday, but not see/watch forward to a holiday*” [8, Introduction].

როგორც მეტაფორულობა, ასევე მდგრადობა არ წარმოადგენს აბსოლუტურ სიდიდეს, ერთიცა და მეორეც ინტენსიურობის მეტ-ნაკლები ხარისხით ხასიათდება: “Idioms vary a great deal in how metaphorical or invariable they are. In other words, idiomaticity (the quality of being idiomatic) is a matter or degree or scale [ibid]. შევადაროთ: to be at (one's) ease vs to be at large.⁵ ორივე ფრაზეოლოგიზმია, თუმცა მეორე შემთხვევაში მეტაფორულობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე პირველში, რასაც „მოაქვს“/თან ახლავს მნიშვნელობის დაბინდულობა (ambiguity).⁶ მომდევნო ნიმუშები: to prick up one's ears = to prick one's ears up; to put on a coat = to put a coat on; ამ წყვილებში სიტყვათა წყობა არ არის ფიქსირებული, ანუ არ მოქმედებს მდგრადობის სინტაქსური-სტრუქტურულ მახასიათებელი. გავიხსენოთ ის, რაც ნებისმიერმა სტუდენტმა კარგად იცის: ნაცვალსახელურ დამატებას კვლავ „მდგრადობის რეჟიმში გადაჰყავს“ საანალიზო ერთეული: Put it on, please (და არა: *Put on it, please). დავძენ, რომ ფრაზაში to be at (one's) ease კუთ-

2 მაგალითის განმეორებითი ხმარებისას ნუმერაცია ბოლოში გადაინაცვლებს.

3 წინადადებათა დიდი უმრავლესობა ამჟამად მოქმედი სახელმძღვანელოებიდანაა ამოღებული, ზოგიერთი – ლექსიკონებიდან და ა.შ. (წყარო ყველგან მითითებულია). აუდიტორიული მუშაობისას მოხმობილ მაგალითებს (გადამოწმებულია ინფორმანტთან) ამგვარი მინიშნება არ გააჩნია (მაგ. 8; 13 და სხვ.).

4 ნიშანი (*) არასწორ ფორმაზე/წინადადებაზე მიუთითებს.

5 to be at (one's) ease – to feel relaxed, comfortable in one's surroundings: *Reg is never at ease in his job, because his boss is always criticizing him*; to be at large – to be free (often used to refer to an escaped criminal or a criminal before arrest): *the train robbers are still at large* [4, 170]

6 მნიშვნელობის დაბინდულობა, ორაზროვნება უფრო ვრცლად იდიომათა მნიშვნელობის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

ვნილებითი ნაცვალსახელის ფაკულტატურობა (რაზეც ფრჩხილები მიუთითებენ) ასევე არღვევს ლექსიკურ–გრამატიკული შეუვალობის/მდგრადობის მოდელს.

მიიჩნევენ, რომ იდიომატურობის მახასიათებელთაგან პრიმატი მეტაფორულობას ეკუთვნის, რადგან სწორედ მეტაფორულობა ანუ მნიშვნელობის გადატანითობა არის ის ნიშანი, რომელიც ლექსიკურ იდიომას თვისუფალი შესიტყვებისაგან განასხვავებს. შდრ. ... he spilt the beans on the floor vs he spilt the beans (=revealed the secret) [8, Introduction]. პირველი მაგალითი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ (*მარცვლები მიმოხნეულია იატაკზე*); მეორე კი, ამგვარი თარგმანის „გვერდის ავლით“, იდიომატურობაში გადადის (*ვიღაცამ საიდუმლო გასცა*). მეტაფორულობა, განურჩევლად ხარისხისა, ლექსიკურ იდიომათა სავალდებულო მახასიათებელია და, როგორც მკვლევარები შენიშნავენ, იგი რიგ შემთხვევებში იმთავითვე გულისხმობს მდგრადობას [ibid].

ყოველივე ზემოთქმული იდიომატიკის ცნობილი და თეორიულად კარგად შესწავლილი მხარეა. პრაქტიკული კუთხით კი საფიქრელია, რომ რაც უფრო დაბალია მეტაფორულობის ხარისხი, მით უფრო უადვილდება სტუდენტს იდიომის ამოცნობა (პასიური უნარ–ჩვევა), დასწავლა თუ მეტყველებაში უშეცდომოდ გადატანა (აქტიური უნარ–ჩვევა) და, პირუკუ, აღნიშნული ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება შეცდომის დაშვების ალბათობა, რაც შესაბამისად ორივე სახის უნარ–ჩვევაზე აისახება. დავუბრუნდები ზემოდამოწმებულ იდიომებს to be at one's ease vs to be at large. მათზე დართული განმარტებები მოწმობს, რომ მეტაფორულობის ხარისხი პირველში უფრო დაბალია, ვიდრე მეორეში, რადგან *ease* თავისი ძირითადი მნიშვნელობით (*the state of being comfortable and without worry or anxiety* [9, 347]) არსებითად განაპირობებს წარმოქმნილი იდიომის მნიშვნელობას, რაც არ ითქმის მეორე ნიმუშზე. კვლავ მაგალითებს მივმართავ: ფრაზეოლოგიზმები (to start) from scratch, up to scratch [3, 103] ან to eat humble pie [10, 164], ვფიქრობ, უფრო ძნელი გასაგებია და დასასწავლი, ვიდრე, ვთქვათ, like a fish out of water, ან to fly high (და აქედან a high-flyer [3, 71]), ან თუნდაც It wasn't all plain sailing... [3, 169]. აქვეა ფრაზული ზმნის მაგალითებიც: Why did they turn on you like that?⁷ და (შესაძლოა ხმარების სიხშირის გამოც) შედარებით მარტივი Please, turn on the light.

ამრიგად, სირთულე იდიომატური ლექსიკის სწავლებისას მეტწილად სიტყვის გადატანით მნიშვნელობას ანუ იდიომათა მეტაფორულობას უკავშირდება. ამას ადასტურებს თავად სიტყვა იდო-

7 to turn on someone – to attack someone or treat them badly [10, 176].

ომის ქვემოთმოყვანილი განმარტება, რომელიც საკუთრივ ლექსიკურ იდიომატიკას შეეხება და ერთ ქარგაში მოაქცევს მის ორ სახეობას – ფრაზეოლოგიზმებსა და ფრაზულ ზმნებს: an expression in usage of a language that has a meaning that cannot be derived from the sum of the meanings of its elements [6, 493]; an expression peculiar to a language not readily understandable from the meaning of its parts, as *to put up with* (tolerate, endure) [11, 319].

ამ განმარტებებში ორი ლოგიკური კომპონენტი: გვარი, ანუ ზოგადი (განმარტების პირველი ნაწილი: an expression ... language...) და სახე, ანუ კონკრეტული, გარკვეული განმასხვავებელი ნიშანი (განმარტების მეორე ნაწილი ბოლომდე). ამათგან პირველი, გვარი, იდიომას ენის სისტემას, ლექსიკას განუკუთვნებს, მეორე კი სხვა ლექსიკური ერთეულებისაგან გამოაცალკავებს და თავად ლექსიკის უსაზღვრო სივრცეში ზუსტ ადგილს მიუჩენს მას.

ის, რომ იდიომის შემთხვევაში საქმე ენობრივ ერთეულთან გვაქვს, საწყისი მოცემულობაა. მთავარი აქ განმარტების მეორე ნაწილია, სახეობრივი ნიშანი (*diferencia specifica*), რაც მეტაფორულობას ეფუძნება და რაც, როგორც ითქვა, თანაბრად მოიცავს როგორც ფრაზეოლოგიზმებს, ასევე ფრაზულ ზმნებს.

აუდიტორული მუშაობის არცთუ იოლ პროცესში ყოველივე ეს, ცხადია, რაღაც სხვაგვარ, ბევრად უფრო მარტივ ახსნასა თუ მიწოდებას ითხოვს, რომელსაც შეგვიძლია დავურთოთ „განმმუხტველი“ და ამასთან სრული ჭეშმარიტების შემცველი ფრაზა: იდიომა ის რთული შემთხვევაა, როცა ორს მივუმატოთ ორი არ არის ოთხი და ეს არც სოფიზმია, ეს რეალობაა – იცი ნაწილები, ანუ შემადგენელი სიტყვები, მაგრამ არ იცი მთელი – არ იცი, თუ რას ნიშნავს ამ სიტყვათა ერთობლიობა, ანუ მოცემული იდიომატური ერთეული.⁸

აქ, შესაძლოა, ორი მიმართულებით წარიმართოს აზრი:

(1) პრაქტიკოსი მასწავლებელი (პირველ რიგში, და არა მარტო იგი) შენიშნავს, რომ შემსწავლელმა შეიძლება არ იცოდეს იდიომის შემადგენელი ამა თუ იმ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა (ანუ არ იცოდეს თავად შესაკრები; უფრო მარტივად – არ იცნობდეს ციფრს 2) მაგ. to eat humble pie; to be in its infancy.⁹ აქ მას ორმაგი სირთულის გადალახვა

8 იდიომატურობის უნივერსალურობასა და ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით აქ სასურველია დავიმოწმოთ მშობლიური ენა; მაგ.: ყურზე ხახვი არ დამაჭრა და მისთ. ამასთან წარმოვიდგინოთ ქართული ენის შემსწავლელი უცხოელი (და კვლავ ანალოგია) – მან ყველა სიტყვა იცის, მაგრამ მაინც ვერ მიიღებს სათანადო ინფორმაციას, ვიდრე გადატანითი მნიშვნელობის რაკურსში არ გაიაზრებს საკითხს.

9 სავარაუდოდ უცნობი სიტყვები ხაზგასმულია. განმარტებანი: to eat humble pie – to admit that you were wrong; when I discovered I had made a mistake, I had to eat

ელის, რომ სათანადოდ აითვისოს ესა თუ ის იდიომატური ერთეული. იგი ჯერ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას ეცნობა, შემდგომ კი – გადატანით და ერთიანი, მზა სტრუქტურის სახით სწავლობს მას.

იდიომის შემადგენლის არცოდნა ფაქტობრივად სათანადო ლექსიკური მარაგის არქონას უკავშირდება და უმეტესად ფრაზეოლოგიზმების სწავლებისას იჩენს ხოლმე თავს. რაც შეეხება ფრაზულ ზმნებს, აქ, ჩვეულებრივ, კარგად ნაცნობ ლექსიკასთან გვაქვს საქმე, ყველაფერი თითქოს მარტივია, თუმცა ხშირად სიმარტივის მიღმა გარკვეული სირთულეებია „მიმაღული“ ამ საკითხს ქვემოთ შევხვებით. აქ კი დავძენ: ლექსიკური მარაგის პრობლემა პირდაპირ კავშირშია სიტყვის ხმარების სიხშირესთან – ხმარების მაღალი სიხშირე, როგორც წესი, „უზრუნველყოფს“ სიტყვის ცნობადობას (შდრ: ფრაზული ზნები, რომელთა შემადგენლობაში პრაქტიკულად არ გვხვდება დაბალი სიხშირის სიტყვა) და პირუკუ, ხმარების დაბალი სიხშირე ლექსიკური პლანის სირთულეებს ქმნის (შდრ. humble, infancy და მისთ.).

(2) თეორეტიკოსი (პირველ რიგში, და არა მარტო იგი) ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ალბათ შენიშნავს, რომ ყველა ლექსიკური იდიომის მნიშვნელობა არ არის ერთნაირად დაბინდული და რომ იგი (ეს მნიშვნელობა) რიგ შემთხვევებში საკმაოდ გამჭვირვალეა, ხოლო თავად იდიომა – გასაგები და ადვილად დასამახსოვრებელი (რადგან ორისა და ორის ჯამი უახლოვდება/თითქმის უდრის ოთხს).

მსჯელობის ეს ხაზი იდიომათა კლასიფიკაციის აუცილებლობას და უკვე ნახსენებ მეტაფორულობას უკავშირდება. აღნიშნული საკითხი ტრადიციული იდიომების ანუ ფრაზეოლოგიზმების მაგალითზე კარგადაა შესწავლილი და გამოკვლეული. შევეცდები უკვე არსებულ კლასიფიკაციაში ლექსიკურ იდიომათა ანუ ფრაზეოლოგიზმების სულ უფრო მზარდი სახეობა – ფრაზული ზმნებიც ჩავერთო. ვფიქრობ, თეორიული კუთხით ეს სისტემურობასა და მთლიანობას შემატებს ლექსიკურ იდიომათა თემატიკას; რაც შეეხება პრაქტიკულ მხარეს, კლასიფიკაცია, ზოგჯერ იქნებ არც მთლად უზადო, თავისი ანალიტიკურობით სტუდენტისათვის მასალაში ჩაღრმავებისა და მისი გათავისების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

მეტაფორულობის ხარისხის მიხედვით გამოყოფენ იდიომათა სამ ჯგუფს:

1. ეს ხარისხი დაბალია და იდიომატური ერთეულის გაგება—ათვისება, მით უფრო კონტექსტურ ჩარჩოში – ადვილი. სავარაუდო ნიმუშები: like a fish out of water; to look after sb/sth; და სხვ.

humble pie and apologize for my behaviour. be in its infancy – to be in the early stages: In the 1960s, space travel was still in its infancy [10, 164].

2. მეტაფორულობის ხარისხი მატულობს. სტუდენტი, თუნდაც მაგალითების მიწოდებითა და ხშირად ვრცელ კონტექსტში ჩასმითაც, ძნელად ახერხებს იდიომის ამოცნობას, ისეთებისა, როგორცაა: a melting pot [10, 164], to tell sb off [7, 17], to be bitten by the travel bug, to look up to sb [3, 17; 87] და მისთ. დაკვირვება მიჩვენებს, რომ განმარტების მიწოდების შემდეგ, ასე ვთქვათ, უკან მოხედვით ანუ რეტროსპექტიულად, სტუდენტისათვის თითქმის ყველაფერი ნათელი ხდება: უკვე მარტივად გამოიყურება ის, რაც მანამდე რთული ან ძნელად გასაგები ჩანდა. ამგვარი მაგალითები არაერთია ჩვენს პროგრამაში და ემოციური მომენტი, რაც აკადემიურ პროცესს თან ერთვის (როგორ ვერ მივხვდი/არც ისე რთული ყოფილა/თავისუფლად შეიძლებოდა გამოცნობა და მისთ.), ამ პროცესში სტუდენტის ჩართულობის საწინდარია და მასალის დამახსოვრების საიმედო წინაპირობაც.

3. მეტაფორულობის ხარისხი მაღალია, ექსპლიციტური მოცემულობით მთელს ანუ იდიომას არაფერი აქვს საერთო შემადგენელთა პირდაპირ მნიშვნელობასთან, რის გამოც იდიომის მნიშვნელობა დაბინდულია და გაუგებარი: to have a bee in one's bonnet [10, 164]; (straight/right) from the horse's mouth; up to scratch, to start from scratch [3, 98; 103], to walk out on sb/sth და მისთ. ახსნისა თუ მეტყველებაში აქტუალიზაციის თვალსაზრისით ეს იდიომები, როგორც წესი, განსაკუთრებულ ძალისხმევას ითხოვენ.

ზღვარი ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის მყიფეა, ზოგჯერ ძნელდება მათ შორის მკაცრი გამყოფი ხაზის გავლება, არის სუბიექტურობის მომენტიც – ერთსა და იმავე ერთეულს შესაძლოა (ზოგჯერ კონტექსტზე დამოკიდებით) განსხვავებული კვალიფიკაცია მიეცეს; მაგრამ პრაქტიკული სწავლების თვალსაზრისით მთავარი მაინც უცხოური იდიომატიკის უშუალოდ „თანამდევ“ სირთულეებია. ჩემი აზრით, მათ, სულ მცირე, ორი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან ერთი სუბიექტურია – ესაა თავად შემსწავლელის სასურველზე დაბალი ენობრივი (აქ: ლექსიკური) კომპეტენცია (იხ. ზემოხსენებული მსჯელობა სიტყვათა *infancy*, *humble* თაობაზე), ხოლო მეორე – ობიექტური; აქ წარმმართველი ცნებაა მოტივაცია¹⁰, ლექსიკური ერთეულის (აქ: იდიომის) მოტივირებულობა, უფრო ზუსტად – მოტივირებულობის ნაკლებობა, რასაც ყოველთვის თან ახლავს მეტაფორულობის მაღალი ხარისხი. განვმარტავ ნათქვამს: to look after sb/sth, to look for sb/sth ადვილი ასათვისებელია და ალბათ ადვილი გასაგებიც, რადგან ამ ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელო-

10 იგულისხმება მოტივაცია (სიტყვის მოტივირებულობა) როგორც სიტყვათწარმოების ერთ-ერთი საშუალება.

ბა (მოვლა/მიხედვა; ძებნა), შეიძლება ითქვას, თითქმის „ზედაპირზე დევს“, რადგან უშუალო კავშირშია აღნიშნული ზმნის მნიშვნელობასთან; და თუმცა თავად სიტყვა to look არამოტივირებული „წარმოშობისაა“ (სიტყვის მნიშვნელობას არაფერი აქვს საერთო მის ბგერით მხარესთან: ისევე, როგორც შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, კავშირი აღსანიშნავია და აღმნიშვნელს შორის პირობითია), დასახელებულ ფრაზულ ზმნებში იგი გარკვევით იძლევა პასუხს კითხვაზე: რატომ look და არა სხვა ზმნა? ვთქვათ, keep, go და ა.შ. პასუხი ასაბუთებს მოტივირებულობას: როგორც ძებნა, ასევე მოვლა, როგორც წესი, სუბიექტის მხედველობით აქტიურობას, ანუ to look-ზმნის პირდაპირ მნიშვნელობას ემყარება. ესაა საკითხის მიზეზობრივი ახსნა, პასუხი კითხვაზე know-why, რასაც სტუდენტი თავადაც კარგად აცნობიერებს და ახალ ლექსიკურ ერთეულს ყოველგვარი ახსნის გარეშე იმახსოვრებს. რაც შეეხება მეორე ელემენტს (after, for), ვფიქრობ, აქ შეიძლება საკამათო გახდეს მოტივაციის მეტ-ნაკლებობა, მაგრამ არა თვით მოტივაციის ფაქტი.

ეს უმარტივესი შემთხვევებია; ისინი, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ „ნიმუშის ეფექტის“ გამო იმსახურებენ ყურადღებას – ნიმუშს განზოგადების ფუნქცია ეკისრება, რაც არცთუ უმნიშვნელო მომენტია სწავლების პროცესში (ამის შესახებ უკვე იყო საუბარი ერთიანი ნაშრომის II ნაწილში იხ. [2, 336]).

ასევე მარტივი გასაგებია ფრაზეოლოგიზმები: like a fish out of water, a pain in the neck, to skate on thin ice და სხვ. სიმარტივეს საფუძვლად უდევს მსგავსება-ანალოგია, უფრო ზუსტად კი პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობათა შორის არსებული ასოციაციური კავშირები, რასაც ადვილად „აფიქსირებს“ გონება და ერთი სიტუაციური რეალობა, ანუ ის, რაც პირდაპირი გაგებით ითქვა, უმაღვე გადააქვს მეორეზე – იმაზე, რაც იგულისხმება და რაც ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში მთავარ სათქმელს წარმოადგენს.¹¹ ასოციაციის არსიც (რომელსაც თავადაც ემყარება და აღძრავს მეტაფორა) სწორედ ამაში მდგომარეობს: ერთი ენობრივი მოცემულობით გადაიცეს ინფორმაციის ორი შრე და ამით ეფექტურად ითქვას სათქმელი. დავიმოწმებ განმარტებას: Association. Latin associare; socius, sharing, allied. The mental connexion between an object and an idea. აგრეთვე, Metaphor. Greek *metaphorá*, transference; *meta*, over, *pherein*, to carry [12, 23; 178].

11 ყოველივე ეს კარგად ჩანს განმარტებაში: like a fish out of water *not fml* – awkward because in a situation one is not accustomed to; a pain in the neck *coll* – a person or thing that is very annoying; to skate on thin ice *coll* – to do something dangerous [8,115; 245; 173].

ამგვარი პარალელების გავლებისას უსათუოდ უნდა გვაცხადდეს შემდეგი: ერთი მხრივ არის მეტაფორა როგორც მხატვრული ხერხი, მეორე მხრივ კი ასოციაციის ძალით მეტაფორულობაზე ანუ მნიშვნელობის გადატანითობაზე აგებული ენობრივი ერთეულები, ამ შემთხვევაში ლექსიკური იდიომები. მათ (მეტაფორასა და იდიომას) შორის აღინიშნება არსებითი ხასიათის განსხვავება, რაც განსაკუთრებით ნათლად იკვეთება ფრაზეოლოგიზმების ანუ ტრადიციული იდიომების სემანტიკაში და რაც შინაარსთან მიმართებაში იქნება განხილული.

ფრაზეოლოგიზმები (ზოგადი მახასიათებელი)

ფრაზეოლოგიზმების ზოგადი მახასიათებლები მათს შინაარსსა და ფორმაშია საძიებელი. მნიშვნელობის გადატანითობა სემანტიკის საკითხია, ხოლო ფორმა – სტრუქტურისა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მიღებული, ყურადღებას ჯერ ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურაზე შევაჩერებ.

სტრუქტურაში მოიაზრება შემადგენელთა (1) რაოდენობა (საკითხის რაოდენობრივი მხარე) და (2) უცვლადობა/მდგრადობა (საკითხის თვისობრივი მხარე).

ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურა. რაოდენობრივი მხარე

სტრუქტურის აღსაწერად ვირჩევ იდიომათა გრამატიკულ (მორფოლოგიურ და სინტაქსურ) მახასიათებლებს.

მეტყველების ძირითად ნაწილებზე დაყრდნობით სტრუქტურაში გამოიყოფა (1) ერთსიტყვიანი და (2) ერთზე მეტსიტყვიანი ფრაზეოლოგიზმები. პირველნი მეტყველების ერთ ძირითად ნაწილს შეიცავენ, მეტწილად არსებით სახელს, ერთი ან მეტი „პარტნიორითურთ“; მეორენი კი – ერთზე მეტს: არსებით სახელს, ზედსართვს, ზმნას და სხვ., ასევე ერთი ან მეტი „პარტნიორითურთ“: „პარტნიორ“ ანუ თანმხლებ სიტყვათა შორის მოიაზრება როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე მეტყველების ნაწილები – წინდებული, არტიკლი. ნიმუშები: (1) at random, by heart, in a hurry, on the average და მისთ. (2) at first sight, in the long run; once in a blue moon, to put sth. on the vote, to have an eye for sth და სხვ. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ წინდებულს, ზოგჯერ კი არტიკლსაც, გარკვეული წვლილი შეაქვს საანალიზო სტრუქტურათა იდიომატურობაში. მხედველობაში მაქვს წინდებულის არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით ხმარება (შემთხვევები, როდესაც, ვთქვათ, in, on, at და სხვ. არ აღნიშნავენ ადგილმდებარეობას, by – მოქმედების

სუბიექტს, of – კუთვნილებას და ა.შ.), აგრეთვე არტიკლის იმგვარი ხმარება თუ არხმარება, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ნორმატიული გრამატიკით დადგენილ წესს.

ზოგადად, აღნიშნული საკითხი, განსაკუთრებით კი წინდებულის თემა, იდიომატიურობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს და სხვადასხვა „პარტნიორის“ თანხლებით მომდევნო მსჯელობაში არაერთხელ წარმოგვიდგენს თავს.

(1) ერთსიტყვიან იდიომებში

ერთსიტყვიან იდიომათა რიცხვი არც თუ მცირეა, ზოგი მათგანის ხმარების სიხშირე კი – საკმაოდ მაღალი. მათ მიკროკონტექსტს ქმნიან დამხმარე სიტყვები – წინდებული და არტიკლი: at a glance, in suspense, by the way, in a way, for starters, in short, at once, by heart, at a stroke, in a nutshell, in a flash, for good, in advance, by accident, by oneself, in a word, out of the blue და მისთ. ამ ერთეულთა ფუნქციური დატვირთვა არაერთგვაროვანია. მათი გრამატიკული და შინაარსობრივი/სემანტიკური რეალიზაცია ხდება როგორც (ა) წინადადების ფარგლებში (ტრადიციული სინტაქსი), ასევე (ბ) ტექსტის დონეზე (მაკროსინტაქსი).

ა) წინადადების ფარგლებში ერთსიტყვიანი იდიომები ძირითადად გარემოების ფუნქციას ასრულებენ. მაგ.:

9. Travel is cheaper for old people. They can study for free... [7,173].

10. By far the most successful and profitable comedy series of recent times, *Friends* has been shown in more than thirty countries around the world [13, 4].

11. I agree with you up to a point [14, 1163].

ბ) ტექსტის ანუ რთული სინტაქსური მთელის დონეზე ერთსიტყვიანი იდიომები აზრთაშორისი მაერთის ფუნქციას ასრულებენ. ამათგან ზოგი განკერძოებული გამოთქმაა (ან მისი ნაწილი). მსგავს შემთხვევებში მათ, შესაძლოა, არ გააჩნდეთ სინტაქსური ფუნქცია ანუ წინადადების წევრობის „სტატუსი“, მაგრამ აღნიშნული იდიომები წინადადებათა ლოგიკური კავშირსა და ბმულობას ემსახურებიან და, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ტექსტის/დისკურსის ორგანიზაციასა და სტრუქტურულ-შინაარსობრივ ერთიანობას. მაგალითები:

12. For starters, he's selfish and he's also rude [10,164].

13. So, in a way, she is right and with some reservations I agree with her.

ტექსტისწარმომქმნელ ფუნქციასთან დაკავშირებით საგულისხმოა და აქვე დავიმოწმებ ერთ–ერთ ამგვარ იდიომატიურ ერთეულზე დართულ ლექსიკოგრაფიულ კომენტარს: by the way (used to introduce a

new subject or something the speaker has just thought of):

14. “By the way, Bill, I’m so glad your wife has agreed to speak; it’s very kind of her to take it on...” [8, 359].

აღნიშნულ მაგალითებში საანალიზო ერთეულები დეიქსის ფუნქციას ასრულებენ, აქ სახეზეა დეიქტური დამოწმებანი (deictic references). ამასთან ბოლო ორ მაგალითში დეიქსი ანაფორულია – იგი წინამავალ კონტექსტთან აკავშირებს გამონათქვამს, ხოლო პირველში – მომდევნოსთან და ეს კატაფორული დეიქსია – *For starters* „იძლევა სიგნალს“, რომ რაღაც უნდა ითქვას და იქნებ იმაზე მეტიც, რაც უშუალოდ მოსდევს მას, დაახლოებით ამგვარი რამ: 12 ა) ... he is also rude. He is selfish and secretive and can be rather unfair at times.

იდიომაში *For starters* სავსებით შესაძლებელია ანაფორული „მუხტის აღმოჩენაც“ და მისი ბიფუნქციურ ქრილში განხილვა: მას არ შემოჰყავს კომუნიკაციურად თვითკმარი, ავტოსემანტური გამონათქვამი. ამ უკანასკნელს უდავოდ წინ უძღვის გარკვეული ტექსტი, რომელიც მოგვაწვდიდა სუბიექტის შესახებ რაიმე, თუ შეიძლება ითქვას, საწყის ინფორმაციას. ეს შეავსებდა ინფორმაციის დანაკლისს და „მოხსნიდა“ დამოწმებული გამონათქვამის სინსემანტურობას. თუმცა ყოველივე ეს სცილდება სტატიის უშუალო მიზანდასახულობას.¹² აქ (და ერთიან ნაშრომში) თეორია გვესაჭიროება იმ რაოდენობითა და იმდენად, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს პრაქტიკული პლანის საკითხთა უკეთესად გადაჭრას, ამ შემთხვევაში – ტექსტის ბმულობის/ კოჰერენტულობის მეტად აქტუალური საკითხის ახალ რაკურსში დანახვასა და გააზრებას: ცნობილია, რომ ნებისმიერი სახის დეიქსი, როგორც წესი, ინფორმაციულად შეუვსებელ სივრცეს ტოვებს; ეს კი, პრაქტიკული კუთხით დანახული, მეტად „მომგებიანია“ იმ გაგებით, რომ საუბარი აუდიტორიაში შეიძლება ძალდაუტანებლად, სრულიად ბუნებრივად წარიმართოს როგორც დიალოგის, ასევე მონოლოგის ფორმატში (დაახლოებით ამგვარი მითითებით: Make predictions about/build up the preceding/following part of the text). ზემონახსენები სიტყვა *მუხტიც* სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ საანალიზო ლექსიკურ ერთეულებში დევს როგორც წინამავალი, ასევე მომდევნო ტექსტის ქმნადობის ენერჯია.

ყოველივე ზემოთქმული იდიომისა და კონტექსტის ურთიერთმიმართებას ეხება. ამ ურთიერთმიმართებას აქვს მეორე მხარეც, კერძოდ კი ის, რომ თავის მხრივ უშუალო გარემოცვა (რასაც ერთიანი

12 განხილული იდიომის (და არა მარტო მისი) ფუნქცია მხოლოდ წინადადებათა-შორისი კავშირებით არ შემოიფარგლება. დამატებითი ინფორმაცია იხ. [8, 313]. შდრ. აგრეთვე sentence adverbials [16, 181].

ნაშრომის II ნაწილში „პარტნიორი/თანამოთამაშე“ ეწოდა [2,337]), ასევე „ზემოქმედებს“ იდიომატურ ერთეულზე და გარკვეულწილად ცვლის მის გრამატიკულ თუ ლექსიკურ მახასიათებლებს: განკერძოებულად ხმარებული იდიომა (მაგ. 14) მომდევნო მაგალითში უშუალოდ არის ჩართული წინადადების სტრუქტურაში, „პარტნიორად“ არსებით სახელს ირჩევს (მიკროსინტაქსის დონე) და მის მსაზღვრელად გარდაიქმნება:

15. He said it in a by-the-way manner. So, don't take it seriously, please.

დამატებითი ინფორმაციისათვის ამგვარი სინტაქსური ტრანსფორმაციის თაობაზე იხ. მაგალითები 24 ბ), 24 გ) და მათზე დართული კომენტარი.

ანალიზის ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ ერთსიტყვიანი იდიომა რეალიზდება როგორც წინადადებაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; ზოგიერთი მათგანი ადვილად ითავსებს დეიქსის ფუნქციას, რითაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დისკურსის შინაარსსა და სტრუქტურას.

(2) ერთზე მეტსიტყვიანი იდიომები

გაცილებით მრავალსახოვანია და აღსაწერად რამდენადმე რთული მეორე ჯგუფი და ამ სირთულეს, შემადგენელთა რაოდენობასთან ერთად, მათი სინტაქსურ-მორფოლოგიური მოცემულობა განაპირობებს. გამოვყოფ იდიომების ორ, შესიტყვებათა (I) და წინადადებათა (II) ჯგუფს. მეორე ჯგუფი პირიან ზმნა-შემასმენელს შეიცავს, ამიტომაც შესაბამისი საანალიზო ერთეული წინადადებას წარმოადგენს და წინადადების სახითვე მიეწოდება სტუდენტს. მაგ. 16. It goes without saying. It stands to (no) reason. All roads lead to Rome. პირველი ჯგუფის იდიომებს ამგვარი მოცემულობა არ გააჩნიათ; შესაბამისად, ისინი მეტყველებაში ჩართვის ანუ აქტუალიზაციის გარეშე ვერ ქმნიან წინადადებას და მათ შესიტყვების სახით ეცნობა სტუდენტი. მაგ.: the naked truth, now and again, to do one's best, to take sth/sb for granted. ცხადია, ორივე შემთხვევაში ახსნა-დასწავლა უკვე შემუშავებული წესით და სიტყვარის მარჯვენა გვერდის (Word Power [2,343]) გამოყენებით ხდება.

I. იდიომატური შესიტყვებანი

აქ განიხილება შესიტყვებები. ამდენად, ეს მიკროსინტაქსის დონეა.

საკვანძო სიტყვის ლექსიკურ-გრამატიკულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთა ორი ქვეჯგუფი: (1) სახელადი ანუ სუბსტანციური, ზედსართაული და ზმნიზედური იდიომები: მაგ. at one's wit's end, at the

top of one's voice, at the bottom of one's heart, the apple of one's eye, a slip of the tongue; (as) good as gold, deaf to advice; all at once; (2) ზმნური იდიომები: to take advantage of, to hold true, to divide by four (საკვანძო სიტყვები ნაზგასმულია).¹³

(1) **ჯგუფი.** როგორც ითქვა, საანალიზო ერთეულთა საკვანძო სიტყვა არის არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი ან ზმნიზედა. შესაბამისად, აქ განვიხილავ სუბსტანციურ, ზედსართავულ და ზმნიზედურ ფრაზეოლოგიზმებს. იხ. ზემოდასახელებული ნიმუშები, ასევე: an awkward customer, quick at sth (maths), well versed in sth, far and near, once upon a time და ა.შ. მოცემული ქვეჯგუფის საანალიზო ერთეულები წინადადებაში, როგორც წესი, საკვანძო სიტყვებისათვის ჩვეულ ფუნქციას ასრულებენ. ესენია: ქვემდებარე, დამატება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, განსაზღვრება, გარემოება.

სუბსტანციური ფრაზეოლოგიზმები

საკვანძო სიტყვას, არსებით სახელს, უმეტესად ორი სახის წინამავალი „პარტნიორი“ ახლავს; ორთავე მსაზღვრელია, კონკრეტულად კი ერთი განსაზღვრებაა, მეორე – წინდებული ან/და არტიკლი. ნიმუშები: a stepping stone, a melting pot, a cold fish, by fits and starts და მისთ.

17. I had one problem after another. The last straw was when the car broke down (ქვემდებარე).

18. I know it's ✓ short notice, but it would be great if you could come [3, 32].¹⁴

19. Beer is an acquired taste; some modern art is an acquired taste [8, 331].¹⁵

20. Kurt can be such an awkward customer, he's always creating problems for us [13, 43]. (მაგ. 18-20: შედგენილი სახელადი/ზმნური შემასმენლის ნაწილი).

21. ... they (the Carthaginians) hadn't managed to take Sicily, the island on their doorstep [3, 35] (განკერძოებული განსაზღვრების ნაწილი).

22. I wake up at the crack of dawn every day [15, 17] (გარემოება).

23. He has travelled to the four corners of the globe [15, 164] (გარემოება).

13 სახელი/სახელადი მოიცავს ოთხსავე სახელს: არსებითს, ზედსართავს, რიცხვითსა და ნაცვალსახელს. ხმარების დაბალი სიხშირის გამო ბოლო ორ მათგანზე არ შევჩერდები, თუმცა ისინი დამოწმებულია შემდგომი მსჯელობის პროცესში. იხ. მაგალითი I am second to none და მასზე დართული სქოლიო 18, გვ. 297.

14 მკითხველს შევახსენებ, რომ ნიშანი ✓ ამა თუ იმ ელემენტის (აქ: არტიკლის) ყურადსაღებ არყოფნაზე მიუთითებს [2, 346].

15 an acquired taste – something, esp. food or drink, liked only after it has been tried several times [ibid].

აქ ყურადღებას შევაჩერებ ენის იმგვარ პრაგმატულ პარამეტრზე, როგორცაა ფუნქციის კონტექსტური განპირობებულობა. მხედველობაში მაქვს კონტექსტისა და მასში რეალიზებული ამა თუ იმ იდიომის ურთიერთმიმართება. შევადაროთ მაგალითები:

24. ა) Don't be too hasty, don't take decisions on the spur of the moment. vs 24 ბ) (This sounds like) “a spur-of-the-moment decision” [8, 311].

პირველ შემთხვევაში (24 ა) იდიომა on the spur of the moment ზმნა-შემასმენელს დაერთვის და გარემოებითი სიტყვაა; მომდევნოში კი (24 ბ) იგივე იდიომა არსებით სახელთან ანუ „საკუთარ პარტნიორთან“ შეთანხმებით და მასთან ერთობლიობაში ამ უკანასკნელის განსაზღვრებად გარდაიქმნება. კიდევ ერთი ამგვარი მაგალითი:

24. გ) You don't look as if you were a spur-of-the moment person (ამოღებულია უცხოელის კორესპონდენციიდან).

უკვე დავიმოწმე ერთიანი ნაშრომის წინამავალი ნაწილი (სადაც უშუალო გარემოცვას „პარტნიორი/თანამოთამაშე“ ეწოდა) და ის როლი, რომელიც „პარტნიორს“ ენიჭება სიტყვის, ლექსიკური ერთეულის რეალიზაციის, უკეთესად დამახსოვრებისა და შესწავლის საქმეში. იდიომა იგივე ლექსიკური ერთეულია და მასზე (ისევე, როგორც ენის ნებისმიერ ერთეულზე), ასევე „ზემოქმედებს“ მიკროკონტექსტი და ახდენს მის ლექსიკურ და გრამატიკულ მოდიფიკაციას. ამ მიმართებით გამონაკლისს არც უკვე განხილული ერთსიტყვიანი ჯგუფის იდიომები შეადგენენ (გვ. 280-282). იქ დამოწმებული მაგ. 15, როგორც აღინიშნა, იმ მიმართებითაც არის გამორჩეული, რომ განკერძოებული ერთეული by the way (მაგ. 14) წინადადებაში ჩართვით ახალ გრამატიკულ და (ნაწილობრივ) ლექსიკურ განზომილებას იძენს: He said it in a by-the-way manner... (მაგ. 15). ამ შემთხვევაში აქ ხაზგასმული იდიომა განსაზღვრებაა, მის წინამავალ შემთხვევაში კი (მაგ. 14) იგივე სტრუქტურა როგორც ლექსიკურ-გრამატიკულად, ასევე პრაგმატულად (იგულისხმება მისი დეიქტური ფუნქცია), სრულიად განსხვავებული დატვირთვითაა წარმოდგენილი. აქ საქმე გვაქვს ერთგვარ ლინგვისტურ ანტინომიასთან: ერთმანეთს უპირისპირდება და იმავდროულად განუყოფელ მთლიანობას ქმნის საანალიზო ენობრივი ერთეულის სისტემისწარმომქმნელი (მაგ. 14) და სისტემისმიერი, სისტემაში შექმნილი (მაგ. 15, 24ბ) პარამეტრები. ერთ შემთხვევაში იგულისხმება წინადადებისა და დისკურსის/ტექსტის სტრუქტურირება და საანალიზო ერთეულთა „წვლილი“ წინადადებისა თუ დისკურსის როგორც მთლიანობის/სისტემის შექმნასა თუ ჩამოყალიბებაში, მეორე შემთხვევაში – საანალიზო ერთეულის უშუალო გარემოცვა. ეს, როგორც წესი, შესიტყვების/მიკროსინტაქსის დონეა. შესიტყვების დონეზე აღ-

ნიშნული ჯგუფის იდიომები, მსგავსად წინამავალი ჯგუფისა, სინტაქსურად თვითკმარ ერთეულებს წარმოადგენენ და მიკროკონტექსტშივე ახდენენ რეალიზაციას. მაგალითისათვის, *in advance, without delay* იმთავითვე გარემოებით სიტყვებად აღიქმებიან. ასევე, მომდევნო ნიმუშები ლექსიკურ-გრამატიკული მდგრადობის გამო ფართო კონტექსტში ჩასმისას არ/ნაკლებად ექვემდებარებიან რაიმე ფუნქციურ ცვლილებას: *at the crack of dawn* (მაგ. 22) ისევე, როგორც *to the four corners of the globe* (მაგ. 23) ან *at all costs, of one's own free will* იმთავითვე, ყოველგვარი კონტექსტისა თუ „პარტნიორის“ გარეშე, აღიქმება როგორც გარემოებითი მსაზღვრელი (რაც თანმხლები წინდებულის ფაქტორით აიხსნება); *the last straw* (მაგ. 17) ქვემდებარის გარდა (და ამასთან უფრო ხშირად) შემასმენლის სახელადი ნაწილიც არის: *მაგ. 25 ... losing his house was the last straw* [8, 319]. საინტერესოა აგრეთვე *მაგალითი 26*. This served *as* the last straw, სადაც იდიომას შესაძლოა არაერთგვაროვანი ფუნქციური ინტერპრეტაცია მიეცეს.¹⁶

ვფიქრობ, ამგვარ სინტაქსურ ტრანსფორმაციათა/სახეცვლილებათა „სათავე“ იდიომის საკვანძო სიტყვაში უნდა ვეძიოთ. ესაა არსებითი სახელი; ქვემდებარე, დამატება, სახელადი ნაწილი არსებითის პირველად ფუნქციას წარმოადგენს, ხოლო გარემოებანი კი – მეორადს და მას არსებითი სახელი, როგორც წესი, ე.წ. „გადამრთველის“ მეშვეობით „ახერხებს“ და ასრულებს. ამგვარ „გადამრთველად“ მეტყველების დამხმარე ნაწილი (აქ: წინდებულის) გვევლინება. აქვე დავასახელებ იდიომებს *in the long run*, *on second thoughts* და სხვ., რომლებიც არა მარტო (ა) სინტაქსურ-მორფოლოგიური, არამედ (ბ) პრაგმატული პარამეტირაც იმსახურებენ ყურადღებას. განვმარტავ: (ა) აქ არსებითი სახელი მისი მეორადი ფუნქციითაა რეალიზებული („გადამრთველი“ წინდებულები ხაზგასმულია); (ბ) არ არის გამორიცხული, რომ იდიომის სემანტიკიდან გამომდინარე, წინადადება სინსემანტურობის გამო კონტექსტიდან ითხოვდეს ინფორმაციული დანაკლისის შევსებას (იდიომათა დეიქტური ფუნქცია) და ამით დისკურსის მთლიანობის, ბმულობის ერთ-ერთ წინაპირობას ქმნიდეს:

27. I'm afraid *in the long run* you'll regret what you have just said.

ფაქტობრივად აქ დაზუსტებას ითხოვს პირდაპირი დამატება *what you have just said*, რომელთანაც შინაარსობრივად უშუალო კავშირშია ხაზგასმული იდიომა. დაზუსტება წინამავალი კონტექსტის მოხმობით

16 სიტყვა *as* პოლისემანტურია და პოლიფუნქციური. დასახელებულ მაგალითში იგი წინდებულია [9, 48-49], თავად ფრაზა კი შეიძლება განვიხილოთ როგორც წინდებულიანი დამატება (ან გარემოებითი სიტყვა. ორთავე ამ კვალიფიკაციას თავისუფლად იტევს ანგლისტიკაში ფართოდ გამოყენებული ტერმინი *verb complement*).

მიიღწევა – სახეზეა ანაფორული დეიქსი. შდრ. მომდევნო წინადადება, რომელიც ინფორმაციულად თვითკმარია და საანალიზო იდიომას აქ დეიქსის ფუნქცია არ გააჩნია. ეს წინადადების სტრუქტურით აიხსნება: აქ ორი ქვემდებარეა: ფორმალური – *It* (anticipatory pronoun *it* [17, 367]) და აზრობრივი, რეალური (...to use real leather), რომელმაც იქვე შეავსო ინფორმაციული დანაკლისი, რის გამოც დეიქტური მიმართება/დამოწმება (deictic reference) არ შედგა.

28. It'll be cheaper in the long run to use real leather [9, 974].

არანაკლებ საინტერესოა ანტონიმურ წყვილელულთა შემცველი იდიომები ტიპისა: in black and white, by hook and crook და მისთ. მაგალითი (რაც ალბათ არაერთ ცხოვრებისეულ სიტუაციას მოერგება და უკეთესის სურვილით არის გამოთქმული):

29. I do things by fits and starts mostly. It's so exhausting at times. I've really got to learn to organize my time properly.

ჩემ მიერ მოძიებულ მასალაში არც თუ მრავლადაა წარმოდგენილი იდიომა როგორც განსაზღვრება. ამ მხრივ საგულისხმოა მაგ. 24 ბ), 24 გ), მაგ. 15 და საანალიზო სიტყვების (spur-of-the-moment, by-the-way) გრაფიკული სახე: მრავალელემენტური სტრუქტურა (ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმი) დეფისების გამოყენებით ერთიან კომპოზიტად „შეიკვრება“, რომ უფრო იოლად გარდაიქმნეს თუ „ლაღად მოერგოს“ ერთი, ცხადად გამოკვეთილი წევრის, არსებითი სახელის მსაზღვრელის ფუნქციას.

ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, კუმშვა, კომპრესია უცხო არ არის შესასწავლი ენისათვის. მოცემულ შემთხვევაში იგი (ა) ლექსიკისა და (ბ) გრამატიკის/სინტაქსის მიჯნაზე შედგა და შემდგომ დაკონკრეტებას ითხოვს: (ა) აღნიშნული ტრანსფორმაცია ფრაზეოლოგიზმის როგორც ლექსიკური ერთეულის მოქნილობაზე მიუთითებს. არ არის გამორიცხული, რომ მსაზღვრელმა იდიომამ როგორც ლექსიკურმა ერთეულმა შესაბამის კონტექსტში მხატვრული დატვირთვაც შეიძინოს, მაგრამ მსჯელობის ეს ხაზი უკვე იდიომათა შინაარსობრივ მხარეს შეეხება. დავძენ მხოლოდ შემდეგს: ამგვარი სტრუქტურები სტილისტურად მარკირებულ განსაზღვრებას – ფრაზულ ეპითეტს ქმნიან; (ბ) აღნიშნული ტრანსფორმაცია ორ განსხვავებულ გრამატიკულ საწყისს იტევს (ან, გნებავთ, „მაღავს“), რომელთაგან ერთი მაკროკონტექსტს მიემართება (მაგ. 14), მეორე კი (24ა) წინადადებას, უფრო ზუსტად კი შესიტყვების/მიკროსინტაქსის დონეს: *By the way, ...* (მაგ. 14), რომელიც განკერძოებული ელემენტია (peripheral sentence adverb [16, 181]), აღნიშნული ტრანსფორმაციის შედეგად (*in a by-the-way manner*) (მაგ. 15) წინადადების წევრად გარდაიქმნება. სტრუქტურულად შედარე-

ბით მარტივია მეორე შემთხვევა: საწყისი მოცემულობით იდიომა *on the spur of the moment* (მაგ. 24ა) იმთავითვე წინადადების წევრს წარმოადგენს (გარემოება; სხვაგვარად – *integrated sentence adverb* [ibid]) და ასეთად რჩება, ოღონდ იცვლის ფუნქციას – გარემოებითი სიტყვა ამჯერად უკვე განსაზღვრებად გვევლინება: ... *a spur-of-the-moment decision* (მაგ. 24ბ). იდიომის ამგვარ სინტაქსურ სახეცვლილებას/ტრანსფორმაციას პირობით ვუწოდებ წინადადებისმიერს (*intrasentential shifting*), ხოლო წინას (იდიომის დეიქტური სემანტიკის გამო) – წინადადებათაშორისს (*intersentential shifting* მაგ. 15).

აქვე მივაქციოთ ყურადღება ცვლადობის თანმხლებ მორფოლოგიურ ფაქტორებს: ერთ შემთხვევაში გარემოების მარკერი *on* ელიმინირებულია, „იკარგება“ (მაგ. 24ბ); ორივე შემთხვევაში მოცემული იდიომები აღწერითი განსაზღვრების ფუნქციას „მოირგებენ“ (*what kind of manner/decision?*) და ნორმის სრული დაცვით „შემოჰყავთ“ ამგვარივე (აღწერითი) მნიშვნელობის მქონე განუსაზღვრელი არტიკლი: (*in*) a by-the-way manner; a spur-of-the-moment decision/person (მაგ. 15; მაგ. 24ბ, 24გ). აქ წინდებული *in* (საანალიზო იდიომის გვერდის ავლით) საზღვრულ არსებითს (*manner*) უკავშირდება, იგი გარემოების მარკერია – ამ სახელს მეორად (გარემოების) ფუნქციაში გადართავს. აქვე შევნიშნავ: გარემოების მეორადი ფუნქციისგან „განთავისუფლებული“ არსებითი სახელი *spur* უკვე აღარ საჭიროებს რაიმე გადამრთველს. სწორედ ამ გრამატიკულ კანონზომიერებას ემყარება ელიმინაცია, სტრუქტურის ის ცვლილება, რაც ზემოთ ზედაპირულად მოვაქციე მარტივ სიტყვაში *იკარგება*.

ვიდრე მომდევნო ჯგუფის განხილვას შევუდგებოდე, შევხები ერთ საკითხს, რომელიც აქ წარმოდგენილ მსჯელობაში მომიჯნავე ხასიათს ატარებს და, ვფიქრობ, (წინამდებარე) სუბსტანციურ და (მომდევნო) ზედსართაულ იდიომათა შემაკავშირებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. მხედველობაში მაქვს მაგალითები, სადაც საკვანძო სიტყვა, არსებითი სახელი ხშირად პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი, სტრუქტურის იდიომატურობა კი, თუ შეიძლება ითქვას, მისი მსაზღვრელიდან იღებს სათავეს (მორფოლოგიურად ესაა ზედსართავი ან არსებითი სახელი). ნიმუშები: a flat refusal, a commanding view, a pillar of society. დასახელებულ სტრუქტურებში გადატანითი მნიშვნელობა მხოლოდ ერთ ელემენტში იკითხება (ისინი ხაზგასმულია), თუმცა ამგვარ გადატანითობას საზღვრულის (მარჯვენა პარტნიორის) სემანტიკა განაპირობებს და იდიომატურობის რეალიზაცია, შესიტყვების დონეზე ხდება. თუ მნიშვნელობის გადატანითობა სტრუქტურის ორთავ ელემენტზე „გადანაწილდა“, არ არის გამორიც-

ხული, საანალიზო ერთეულს „ორწევრა“ /რთული სიტყვის კვალიფიკაცია მიეცეს,¹⁷ რაც ზოგჯერ გრაფიკულად დეფისით დასტურდება. ნიმუშები: high tea, a cold war, small fry, a stepping stone, a dead-line/deadline და მისთ. მაგალითები:

30. Working in marketing is a rat race [10, 164].

31. They say he'll be a partner of the firm by the time he's thirty. He's a real high-flyer [3, 71].

შენიშნავ: როგორც დასაწყისშივე ითქვა, ნაშრომში წარმოდგენილი კლასიფიკაცია გრამატიკულ კრიტერიუმზეა აგებული. სავსებით შესაძლებელია, რომ სხვაგვარი მიდგომისა თუ განსხვავებული ხედვისას ზოგიერთი სტრუქტურა სხვა, ამ შემთხვევაში ზედსართაული ჯგუფის ნაწილად იქნეს მიჩნეული. ორმაგი კლასიფიკაციისა (თუ ინტერპრეტაციის) შესაძლებლობა, ამბივალენტურობა იდიომათა სტრუქტურულ-შინაარსობრივი პლანის ერთ-ერთი ძირეული ნიშანია [8, IX].

დასასრულ, წარმოვადგენ სუბსტანციური იდიომის რამდენიმე ნიმუშს, რომელთა მეტაფორულობას ალუზიაში ანუ მხატვრულ დამოწმებაში უდევს სათავე: the green-eyed monster, a/the Good Samaritan, the fatted calf. მათი შემდგომი ანალიზი შინაარსის პლანის საგანია.

მოკლედ შევაჯამებ ზემოთქმულს:

სუბსტანციური იდიომები წინადადებაში ჩვეულებრივ საკვანძო სიტყვის, არსებითი სახელისათვის დამახასიათებელი ფუნქციით რეალიზდებიან. გარემოების მეორად ფუნქციას ისინი, როგორც წესი, „გადამრთველი“ წინდებულის მეშვეობით ასრულებენ. აქ (ისევე როგორც ერთსიტყვიან იდიომათა შემთხვევაში) ყურადღებას იმსახურებს სტრუქტურის კომპრესიითა და ლექსიკურ-გრამატიკული ტრანსფორმაციით მიღებული და გარკვეული სტილისტური დატვირთვის მქონე განსაზღვრება. არანაკლებ საყურადღებოა შესიტყვების შემადგენელთა შორის იდიომატური „მუხტის“ გადანაწილების საკითხი. ჩვეულებრივ იდიომის როგორც ლექსიკური ერთეულის აქტუალიზაცია მიკროსინტაქსის/შესიტყვების დონეზე ხდება.

ზედსართაული ფრაზეოლოგიზმები

საკვანძო სიტყვაა ზედსართავი სახელი; მას შეიძლება ნამყოს მიძლეობა ჩაენაცვლოს. გაანალიზებული მასალის საფუძველ-

17 აქვე გვასენდება კომპოზიტი. აღნიშნულ ცნებათა ურთიერთმიმართების დადგენა ლექსიკოლოგიას მივანდოთ. „ორწევრა“ სიტყვა სამუშაო ტერმინია და იგი ლექსიკა-გრამატიკის ურთიერთქმედების მიჯნაზე წარმოქმნილ ერთეულს გულისხმობს.

ზე გამოვყოფ ორი სახის სტრუქტურას: (1) **adj+prep+noun/n.phrase**: clumsy at (needlework), crowned with (success); possessed by (an idea). (2) **as+adj+as+noun/n.phrase**: as hungry as a hunter, as smooth as velvet; **like+noun/n.phrase**: like water off a duck's back. ეს შედარების იდიომებია (კავშირებით as... as, like). წინადადებაში ორთავე სტრუქტურა უმეტესად შემასმენლის სახელადი ნაწილია.

(1) როგორც ითქვა, აქ გაერთიანებულ იდიომათა აქტუალიზაცია ხდება ფორმულით: **adj+prep+noun/n.phrase**. მაგალითები:

32. Susan is deaf to advice, reason, and to all entreaty [4, 104].

33. With his new job and involvements, Jim is practically always short of time.

აქ იდიომათა წინადადებაში ჩართულობას, როგორც წესი, მარცხენა „პარტნიორი“, პირიანი მაერთი ზმნა განაპირობებს (აქ: is). სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის იდიომის სინტაქსურ სახეს; თუმცა, ვფიქრობ, თავად მაერთი ზმნა არ შედის იდიომატურობის ქარგაში, რადგან იგი აქ პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება; შინაარსი ამგვარია: ზედსართავით გამოხატული თვისების მფლობელი არის სახელი, მეტწილად წინადადების ქვემდებარე და შესაბამისად სახეზეა ქვემდებარის დისტანციური მსაზღვრელი – subject complement [17, 307].

იდიომატურობითა და მნიშვნელობის მეტ-ნაკლები დაბინდულობით გამოირჩევა ზედსართავის მარჯვენა პარტნიორი – წინდებული (ჩვეულებრივ – თანმხლები არსებითი სახელითურთ). აქ ფაქტობრივად საქმე გვაქვს წინდებულის იდიომატურობასთან და წინდებულიან მართვასთან, რაშიც „ჩართულია“ წინდებულის როგორც წინამავალი, ასევე მომდევნო „პარტნიორი“, ზედსართავი და არსებითი სახელები. ნიმუშები: deaf to (advice), remarkable for (their skills), short of (money) და სხვ.

დასახელებულ „პარტნიორთა“ ბმულობაში ამგვარი სურათი იკვეთება: 1. საკვანძო სიტყვა, ზედსართავი, თავისუფალია წინდებულის არჩევანში, რადგან იდიომის ბოლოკიდური წევრი მასში არ მონაწილეობს: opposite to sb's view/to what was expected, pale with fear/anger; 2. საკვანძო სიტყვა, ზედსართავი, ამ მიმართებით შეზღუდულია, რადგან წინდებულის არჩევანი დამოკიდებულია ბოლოკიდურ „პარტნიორზე“, არსებით სახელზე: independent of one's parents vs independent in one's choice; tired of sth/sb vs tired to death და ა.შ. ჩემი აზრით, აქ სახეზეა ორვალენტიანი ზედსართავი სახელი, ხოლო რადგან მარჯვენა „პარტნიორს“, არსებით სახელს, ახალი სემანტიკური ელემენტი შეაქვს საანალიზო ერთეულში, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად საქმე გვაქვს ზედსართავი იდიომის ორმნიშვნელიანობასთან (იქნებ ზოგჯერ – სამნიშვნელიანობასთანაც). მაგალითები: moved by sb's words vs

moved to tears vs moved with pity. ასევე: The face was familiar to everyone vs I'm not familiar with local customs and habits; Are you familiar with facts? აღნიშნული, ვფიქრობ, პოლისემიასთან ასოცირდება და იდიომატიკის დონეზე ლექსიკური ერთეულისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ სემანტიკურ ნიშანს წარმოაჩენს.

იგივე ითქმის ზედსართავისმიერ წინდებულთა სინონიმის შესახებ: secure against /from attack [14, 1005; 4, 110]; მაგრამ: Put the medicine in a place secure from the children. პირველ მაგალითში, მეორისაგან განსხვავებით, როგორც against-, ასევე from-წინდებულის ხმარება საცხებით მართებულია და შემსწავლელი ამ მხრივ „დაზღვეულია“ შეცდომისაგან, მისი მეტყველება ორივე შემთხვევაში ზუსტია, რაც არ ითქმის მეორე მაგალითზე. ამგვარ შეზღუდვას კონტექსტი, კერძოდ კი წინდებულის მარჯვენა „პარტნიორი“ (აქ: the children) განაპირობებს და „აწესებს“.


ვფიქრობ, ზემოთქმული საფუძველს იძლევა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ იდიომატიკურობის თანმხლები ორი მოვლენა: მდგრადობა/არამდგრადობა და სემანტიკური ტრანსფორმაცია. პირველი არსით გრამატიკული მოვლენაა (secure against= secure from attack), მეორე კი (familiar to vs familiar with) – ლექსიკურ-გრამატიკული. განვმარტავ, თუ რატომ: პირველ შემთხვევაში მორფოლოგიური ცვლილება (იგულისხმება წინდებულები against/from) არ ზემოქმედებს საკვანძო სიტყვისა და, შედეგად, იდიომის მნიშვნელობაზე. აქ სახეზეა იდიომის სემანტიკური მდგრადობა – ფორმა იცვლება (სტრუქტურული არამდგრადობა), ხოლო შინაარსი უცვლელი რჩება; მეორე შემთხვევაში კი ფორმა გარკვეულწილად ცვლის იდიომის სემანტიკურ სახეს, აქ შინაარსის/მნიშვნელობის ცვლილება ფორმის ცვლილებას უკავშირდება და მასზეა დამოკიდებული.

მაშასადამე, ერთ შემთხვევაში გვაქვს სტრუქტურული არამდგრადობა (structural variability) და უშუალოდ მისგან გამომდინარე სემანტიკური მდგრადობა (semantic/lexical fixity), მეორე შემთხვევაში კი – საკვანძო სიტყვისა და მასთან ერთად იდიომის სემანტიკური სახეცვლილება და ზედსართავი ვალენტობის გარკვეული სპექტრი. ამ ენობრივი პროცესების უშუალო მონაწილეა წინდებული და მასთან ერთად საკვანძო სიტყვის მარჯვენა გარემოცვა.

წინდებულიანი მართვა და, საერთოდ, წინდებული ყოველთვის უქმნიდა ენის შემსწავლელს გარკვეულ სირთულეებს. ამის მიზეზი არაერთია, რომელთაგან გამოვყოფდი წინდებულთა ხმარების სიხშირეს და მათ არაერთგვაროვან ფუნქციურ/სინტაქსურ დატვირთვას, რაც ძირითადად შესასწავლი ენის ანალიზურობით აიხსნება: ფლექ-

სიათა სიმცირისა თუ სიმწირის გამო სიტყვათაშორის კავშირებს დამხმარე სიტყვა, ამ შემთხვევაში წინდებულები „იღებს თავის თავზე.“ სინტაქსური კავშირები სიტყვათა/მეტყველების ნაწილთა ფართო არეალს მოიცავენ, რომელთაგან აქ მხოლოდ ზედსართავი სახელია ფრაგმენტულად წარმოდგენილი (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. 4, 81-99; იხ. აქვე გვ. 279; გვ. 285 და ა.შ.).

საერთოდ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული (ანუ სიზუსტით სწავლების) თვალსაზრისით, წინდებულის თემა ვრცელია და მრავალმხრივი – ეს დამხმარე სიტყვა თავის თავში იტევს ინგლისური ენის იდიომატურობის არაერთ ზოგად მახასიათებელს. აღნიშნულს აქ არ ჩავუღრმავდები (ეს როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული იდიომატიკის საკითხია), ოღონდ შევნიშნავ: შეცდომათა რაოდენობა დიდია, რაც უარყოფითად აისახება მეტყველების სიზუსტეზე და ეს შეცდომები, როგორც წესი, წინდებულის არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას უკავშირდება (წინდებულის პირდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობის შესახებ იხ. გვ. 279, აგრეთვე მომდევნო გვ. 293). მიზანშეწონილია თვალსაჩინოების იმგვარ საშუალებათა გამოყენება, როგორცაა გრაფიკული ნიშანდება (ხაზგასმა, ფერადი კოდი [იხ. 2, 344. სქემა 1, ხაზგასმით ნიშანდებული წინდებულები *for: to show respect for sb/sth*]); არანაკლებ ეფექტურია სქემების მოშველიება. შევნიშნავ: სქემები სცილდება წინამდებარე ჯგუფის საზღვრებს, რაც მეტი სიცხადით წარმოგვიდგენს საკითხის სირთულეს.



ბოლო სქემაში ინდექსით წარმოდგენილი ზმნები ერთზე მეტი მნიშვნელობით იხმარება ენაში. ვფიქრობ, ეს პოლისემიის იდიომატური ანალოგია, შეიძლება ითქვას, რომ აქ იდიომატურ პოლისემიასთან გვაქვს საქმე. მაგ.: to ask for sth (for help/advice/money etc.) vs to ask for sb (Has anyone asked for me while I was away?) vs to ask for trouble/to ask for it (You're really asking for it by coming in late when you father has told you to be early [8, 11]). To study for free vs to study for an exam vs to study for a lawyer; to

work for pleasure /for a living vs to work for a (travel) company [4, 133]. მივაქციოთ ყურადღება, რომ იდიომატურობის ხარისხი (ანუ მნიშვნელობის გაუმჭვირვალობა/დაბინდულობა) დაპირისპირებულ სტრუქტურებში არაერთგვაროვანია და რომ იდიომათა ამ ზოგადი მახასიათებლის შექმნაში „აქტიურად მონაწილეობს“ წინდებულის მარჯვენა „პარტნიორი“, ამა თუ იმ კონკრეტული სემანტიკის მქონე არსებითი სახელი. ასე, მაგალითად იდენტურ მორფოლოგიურ ფორმულაში to ask for+noun არსებითი სახელის სემანტიკაზე დამოკიდებით იცვლება იდიომატური ერთეულის მნიშვნელობა: to ask for help vs to ask for trouble. შდრ. აგრეთვე: out of breath/date/season და ა.შ. vs out of pity/gratitude/fear და ა.შ. ვფიქრობ, ამგვარი სტრუქტურულ-შინაარსობრივი განსხვავებანი ადვილად შეიძლება გამოვიყენოთ პოლისემიის არგუმენტად.

ეს სქემები წინდებულზე მიმართული მკვეთი ხაზებით მასალის ახსნისას საკმაოდ ეფექტურ თვალსაჩინოებას ქმნიან: ცალკეულ ჯგუფში შემავალ პარტნიორთა (ზედსართავთა, არსებითთა, ზმნათა) ნუსხა ერთ შეკრულ მთლიანობად ანდა, გნებავთ, კონად (cluster) აღიქმება და ამგვარადვე აღიბეჭდება შემსწავლელის გონებაში; ამასთან სასურველია წინდებულის გრაფიკულად (რაიმე სახით) ნიშანდება – ეს ყოველივე საკითხის, ასე ვთქვათ, „ტექნიკური“ მხარეა; როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით ისინი ადასტურებენ ზემოაღნიშნულს: ა) წინდებულთა „მოხმარების“ არეალი მართლაც ფართოა (შდრ. სქემებში „პარტნიორთა“ მორფოლოგიური სპექტრი; შდრ. აგრეთვე წინდებულთა სიმრავლე ერთსიტყვიან იდიომებში); ბ) ენის სიზუსტით სწავლებისას მართლაც მნიშვნელოვანია საანალიზო სიტყვის გარემოცვა, მისი მარჯვენა თუ მარცხენა „პარტნიორის“ დადგენა და დასწავლა. ეს ხანგრძლივი დამახსოვრებისა და ცოდნის საიმედო წინაპირობაა – „პარტნიორი“ საანალიზო სიტყვას, ასე ვთქვათ, ძალას მატებს (შდრ. Word Power და მისი ფუნქცია სიზუსტით მეტყველების საკითხში [2, 343-346]); „პარტნიორები“ ერთ ქარგაში ურთიერთქმედებენ და ამგვარადვე (გაუცნობიერებლად, სქემის სახით ანუ ვიზუალურად თუ გაცნობიერებულად, სათანადო მაგალითების მოშველიებით) ამახსოვრებენ თუ ამახსოვრებიან თავს შემსწავლელს. ყოველივე ეს – სიტყვათა შესაბამისად დაჯგუფება (როცა, ვთქვათ, თითოეულ წინდებულს სავარაუდოდ ცალკე გვერდს მივუჩინებთ), გრაფიკულად დამუშავება, მინიმალურ კონტექსტში ჩასმა და დასწავლა – დიდ ძალისხმევას ითხოვს. ძალისხმევა მით უფრო მეტია, რაც უფრო ნაკლებპროგნოზირებადია წინდებულის. მაგ.: independent of, relevant to, popular with, surprised at, made of vs made from და მისთ.

შენიშვნა: ტერმინი (ნაკლებ)პროგნოზირებადი (ასევე ოდნავ ქვემოთ არაპროგნოზირებადი) ახალია აქ წარმოდგენილ მსჯელობაში და შემდგომ დაკონკრეტებას ითხოვს, რასაც იდიომათა მნიშვნელობის კონტექსტში შევხვები.

ვიდრე მომდევნო სტრუქტურულ სახეობაზე გადავიდოდე, მოკლედ დავძენ: შესასწავლი ენის ამ მეტად მნიშვნელოვან სეგმენტში (იგულისხმება ზედსართავისმიერი წინდებულიანი მართვის ფართო სპექტრი) შეცდომის აღმოსაფხვრელად და სიზუსტის მისაღწევად (ა) პრაქტიკული კუთხით: მოვიშველიე სქემები და გრაფიკული ნიშანდება (მიკროკონტექსტითურთ), ანუ მივმართე ვიზუალურ მესხიერებას როგორც მასალის დამახსოვრება-დასწავლის ეფექტურ საშუალებას; (ბ) თეორიული კუთხით: სირთულის წარმომქმნელ ფაქტორად და, ამდენად, შეცდომათა ძირითად „წყაროდ“ დავსახე წინდებულის ნაკლებ- ან არაპროგნოზირებადობა (unpredictability). ეს უკანასკნელი მეტწილად წინდებულის არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას უკავშირდება: *to* არ აღნიშნავს მიმართულებას (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), *of* – კუთვნილებას, *for* ნაკლებად ან არ ასოცირდება თანდებულთან -*თვის* და ა.შ.; რადგან საქმე მოზრდილ, გარკვეული ენობრივი კომპეტენციის მქონე შემსწავლელთან გვაქვს, აქვე გაკვირით შევხვებ ენათაშორის შეპირისპირებას: მშობლიური vs უცხოური ენა (ანუ მივმართე კონტრასტის პრინციპს როგორც შემეცნების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას).

წინდებულის(ს თემა) თავისი მრავალსახეობით ამოუწურავია და მომდევნო მსჯელობაში ალბათ კვლავაც არაერთხელ შეგვახსენებს თავს.

(2) აქ გაერთიანებულია შედარების იდიომები. შედარება ენის-მიღმა/ექსტრალინგვისტურ სამყაროს მიემართება და ამგვარ სტრუქტურულ ჩარჩოებშია მოქცეული:

(a) as + adj. + as + noun/n. phrase. ნიმუშები as sober as a judge, as wise as an owl, as poor as a church mouse და მისთ.

34. I was as sick as a dog after I ate that sea food [10, 164].

35. It was my impression that they were as thick as thieves [18,12].

დასახელებული ფორმულა საანალიზო იდიომის მორფოლოგიურ სახეს გვაცნობს, საწყისი კავშირი *as* ფაკულტატური წევრია, ამიტომ ეს ფორმულა შეგვეძლო ამგვარადაც წარმოგვედგინა: (as+) adj+as+noun/n.phrase. სინტაქსურად აქ, ისევე, როგორც წინამავალ ქვეჯგუფში, საანალიზო იდიომა მეტწილად შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია და წინადადების ქვემდებარის დისტანციური მსაზღვრელ-მახასიათებელი (მაგალითებში 34, 35 ხაზგასმულია როგორც მსაზღვრელი/იდიომა, ასევე საზღვრული ქვემდებარე; ცხადია

მათი შემაკავშირებელია მაერთი to be). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეპისტემურ კონტექსტში (აქ იდიომის მარცხენა „პარტნიორი“ გონებრივი აღქმის ზმნაა) საანალიზო სტრუქტურა შესაძლოა რთული ქვემდებარის ან რთული დამატების შემადგენლობაში აღმოჩნდეს ჩართული. პირველ შემთხვევაში იგი ქვემდებარის დისტანციურ მსაზღვრელად რჩება, მეორეში კი დამატების ამგვარივე მსაზღვრელად გარდაიქმნება (უცხოური ტერმინოლოგიით: subject complement; object complement [17, 307-308]).

36. He was found as innocent as a dove.

37. Everybody found him as innocent as a dove.

ამ მაგალითებში ორმაგად ნაზგასმული სტრუქტურა ელიპტიკურია, რადგან to be-ზმნის გარეშე ასრულებს სახელადი ნაწილის ანუ დისტანციური მსაზღვრელის ფუნქციას. სპეციალურ ლიტერატურაში მათ ამგვარი კვალიფიკაცია ეძლევა: „...non-finite clauses (...) resulting from ellipsis of infinitival be” [17, 321]. წარმოვადგენ სტრუქტურას სრული სახით: He was found to be as innocent as a dove; Everybody found him to be as innocent as a dove. როგორც ცნობილია, to be მაერთი არც თუ იშვიათად ექვემდებარება ამგვარ ელიმინაციას, რაც, ვფიქრობ, მყოფობის შინაარსით აიხსნება.

ზედსართაულ იდიომათა (1) და (2) ქვეჯგუფს ერთმანეთისაგან არა მხოლოდ სტრუქტურა, არამედ სტრუქტურით განპირობებული შინაარსიც განასხვავებს. მხედველობაში მაქვს შედარების ჩარჩო-ფორმულა კავშირებით *as... as..., like...* (ეს უკანასკნელი იხ. ოდნავ ქვემოთ) და ის მაღალმხატვრულობა, რომლითაც იდიომა ქვემდებარეს თუ დამატებას აღწერს და ახასიათებს; მაგრამ ეს უკვე განსხვავების შინაარსობრივი მხარეა; სხვა მაგალითები:

38. ა) That custom of the natives' is as old as the hills.

ბ) The joke you told us is as old as Adam, but I still think it's funny [8, 240].

39. I need glasses for most things nowadays. I'm as blind as a bat without them! [3, 98].

სასწავლო მასალა, რომელიც (როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა) შესაბამისად ასახავს შესასწავლი ენის სპეციფიკას, მხატვრული შედარების სხაგვარ სტრუქტურებსაც გვთავაზობს, რომელთაგან გამოვყოფდი ორს: ბ) like + noun/n. phrase. მაგალითები: like a fish out of water, like a bull in a china-shop და მისთ.

40. My boss was in a bad mood (...). He shouted at everyone who went near him. He was like a bear with a sore head [3, 38].

მაღალი სიხშირის *to be* ზმნას შესაძლოა ჩაენაცვლოს სხვა მაერთი (*to seem, look* და ა.შ.) ან სრული პრედიკაციის ზმნა (მეტწილად *to have*). პირველ შემთხვევაში საანალიზო იდიომა სინტაქსურად, როგორც წესი, არ იცვლება და შემასმენლის სახელად ნაწილადვე რჩება; მეორე შემთხვევაში კი დამატების (ხაზგასმულია) მსაზღვრელად გარდაიქმნება: *to be/to look like a bull in a china shop vs to have a memory like a sieve*. ორმაგად ხაზგასმული სტრუქტურის ტრანსფორმაცია (...a memory like a sieve → a memory which is like a sieve) ცხადად ადასტურებს, რომ მსაზღვრელი აღწერითი შინაარსისაა; ერთიანი იდიომა (a memory like a sieve) ბინარულია და ორ წევრს იძლევა: დამატებასა (*a memory*) და მასზე დართულ პოსტპოზიციურ განსაზღვრებას (*which is...*).

c) verb + like + noun/n.phrase; ამ სტრუქტურაში იდიომატური შედარება სრული პრედიკაციის ზმნას ახლავს და გარემოებითი სიტყვაა: *to drink like a fish, to sleep like a log, to eat like a horse* და მისთ.

41. The news of her arrival hit him like a ton of bricks [8, 39].

ბოლო ორი სტრუქტურის (*like+noun/n. phrase; verb + like + noun/n. phrase*; მაგ., 40-41) აქ ჩართვით დავარდვიე წინამდებარე ქვეჯგუფში მასალის კლასიფიკაციის მორფოლოგიური პრინციპი – ზედსართავი სახელი, რომელიც ამ ქვეჯგუფის საკვანძო სიტყვაა ერთ შემთხვევაში არსებითმა ჩაანაცვლა (და ეს სუბსტანციური სტრუქტურის ფარგლებში უნდა განხილულიყო), მეორე შემთხვევაში – ზმნამ (ზმნური სტრუქტურები კი ჯერ არ განხილულა). ეს მოხდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამივე სტრუქტურა (სუბსტანციური, ზედსართავი, ზმნური) შედარების ელემენტს შეიცავს, ეს შედარების იდიომებია (*Idioms of comparison* [4, 233]) კავშირებით *as, like*. აქ შედარება (რაც თავისთავად შინაარსობრივ მხარეს ქმნის) სტრუქტურითაა განპირობებული და ნაკარნახევი; ამდენად, ანალიზი და მსჯელობა სტრუქტურის ფარგლებს არ გასცილებია და მოწმობს, რომ კომუნიკაციის თვალსაზრისით შინაარსობრივი და ფუნქციურ-სინტაქსური მახასიათებელი მორფოლოგიურზე უწინარესია.

ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმები. ერთზე მეტსიტყვიან ზმნიზედურ იდიომათა რიცხვი შედარებით მცირეა და მათ ამგვარი სტრუქტურული და შინაარსობრივი თავისებურება აქვთ: ისინი მეტწილად წყვილფულების სახით იხმარებიან ენაში და ეს წყვილფულები ან ერთგვაროვან (სინონიმურ), ან დაპირისპირებულ (ანტონომურ) სიტყვებს აერთიანებენ: *neither here nor there, every now and then, backwards and forwards, more or less, again*; ამასთანავე შესაძლოა ემოციურ მუხტსაც ატარებდნენ (რაც, ცხადია, შინაარსობრივი ანალიზის საგანია), როგორცაა: კონკრეტულისა და ზოგადის შერწყმა-დაპირისპირება, აზ-

რის განზოგადება-გაზვიადება, დაკონკრეტება-დამცრობა: every now and then, far and near. again and again, once or twice (occasionally) და სხვ. მაგალითები:

42. I have told her so time and again but she won't listen.

ეს ზმნიზედები ზმნა-შემასმენელს დაერთვიან და წინადადებაში გარემოებითი სიტყვის ფუნქციას ასრულებენ.

ფუნქციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: როგორც ვიცით, წინადადებაში გარემოება ჩვეულებრივ ზმნიზედით გამოიხატება – ესაა მორფოლოგია-სინტაქსის ურთიერთმიმართების ტიპური სახე და ნორმა. მაგრამ ცნობილია ისიც (და ეს უკვე აღინიშნა. იხ. გვ. 285), რომ „გადამრთველის“ მეშვეობით (ზოგჯერ მის გარეშე) გარემოების ფუნქცია, რაც პირველადია ზმნიზედისათვის, შესაძლოა შეითავსოს მეტყველების სხვა ნაწილმაც, მოცემულ შემთხვევაში არსებითმა სახელმა: by fits and starts, in the long run, on second thoughts და სხვ. ამგვარი ფუნქციური ჩანაცვლება სტრუქტურითაა განპირობებული და სტრუქტურის განხილვისას აღნიშნულ ფაქტორს გვერდს ვერ ავუვლით. არის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც: პირველად ან მეორად ფუნქციათა შეთავსება შეგვახსენებს, რომ ენა არ არის, ასე ვთქვათ, „კუპირებული“ მოცემულობა, მონოფუნქციურ, „თავის თავში ჩაკეტილ“ ერთეულთა უბრალო სიმრავლე, არამედ ღია სისტემა ელემენტთა რეალიზაციის ფართო შესაძლებლობებით (compartmentalized vs flexibly versatile entity), რაც საბოლოოდ მის მოქნილობასა და მრავალსახეობაზე მეტყველებს.

ერთსიტყვიანი იდიომების მსგავსად, ზოგი ზმნიზედური იდიომა შესაძლოა განკერძოებულ გამოთქმას წარმოადგენდეს და დეიქსის ფუნქციასაც ითავსებდეს აქედან გამომდინარე ტექსტის ქმნადობისა თუ დისკურსის სტრუქტურირების ყველა საგულისხმო შედეგით. კერძოდ, first and foremost, once and for all, once upon a time და მისთ. ფართო კონტექსტთან მიმართებისა თუ მასში ჩართვის საგულისხმო ანაფორულ ან კატაფორულ მინიშნებებს შეიცავენ. მაგ.:

43. First and foremost, you've got to write up a list of do's and don't's and follow it strictly.

ალბათ ეჭვს არ იწვევს, რომ დამოწმებულ წინადადებას ესაჭიროება დისკურსის განვრცობა, ფართო (როგორც წინამდებარე, ასევე მომდევნო) კონტექსტი, რომ იგი გახდეს კომუნიკაციურად უზადლო და თვითკმარი. სწორედ აქ ჩნდება ჭრილი და იხსნება ინფორმაციულ სივრცე (gap), რომელსაც პრაქტიკოსი მასწავლებელი სრულიად ძალადაუტანებლად იყენებს და ქმნის შესაბამის სასაუბრო სიტუაციას. უფრო მეტიც, დროის მოგებისა და ლექსიკის გამდიდრების მიზნით,

მას სავარაუდოდ შეუძლია თავად მიაწოდოს აუდიტორიას ერთგვარი თემატური ბადე (პირობით ვუწოდოთ მას topic guideline), რომელიც აპროგრამებს და მეცხეულად იძლევა საუბრის მიმართულებას. ვაგრძელებ ზემომოტანილ წინადადებას მხოლოდ ერთი მიმართულებით (კატაფორული დეიქსის რეალიზაცია) და ამგვარი სავარაუდო თემატური ბადით/a tentative guideline with a list of do's and don't's to follow strictly: to give up old/bad habits and embrace new ones; to start slimming, to eat less and only healthy/wholesome food (vs junk food); to keep to a diet; raw vs stewed vegetables and fruit (the latter is highly advisable for elderly people); to sleep (if and when possible) in the open air; to keep early hours; to give up smoking; to jog, etc.

საუბარი შეიძლება წარიმართოს როგორც მონოლოგის (სტუდენტი საუბრობს ვინმეს შესახებ), ასევე დიალოგის ფორმატში სტუდენტთა წყვილებულად დაჯგუფებით და ა.შ. ინფორმაციის/სათქმელის სათანადოდ გაშლა უთუოდ ითხოვს (თუნდაც კითხვა-პასუხის სახით) გრამატიკის, ასევე კონკრეტულ სიტუაციებთან და ადამიანებთან ასოცირებული კავშირების ჩართვას; მოიცავს სტუდენტთა აქტიურობის იმგვარ ფორმებს, როგორცაა შეცდომათა თვით- და ურთიერთ-შესწორება (self- and peer-correction).

საუბარი შემდგარია (ამასთან ალბათ სისხარტისა და სიზუსტის დაცვით), ლექსიკა გამდიდრებულია, ენის მომავალი სპეციალისტის პროფესიული თავდაჯერებულობა (self-confidence და ამის თანმხლები a sense of achievement/fulfilment) მიღწეულია და მიღწეულია ის, რასაც ახალი თაობის სახელმძღვანელოები ასე მარტივად და გასაგებად არქმევენ მრავლისმთქმელ სახელს: a 'can do' attitude; to feel positive about things [3, 31].

ვფიქრობ, ზემოთქმულს აკადემიურთან ერთად აღმზრდევლობითი მუხტიც ახლავს – გარკვეულ უნარ-ჩვევებთან ერთად ამგვარად დაპროგრამებული სასაუბრო (და არა მარტო იგი) დიდად უწყობს ხელს შემსწავლელში მეტად მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას. არის კიდევ ერთი შემაჯამებელი ფრაზა, რომელსაც განწყობის კვლავაც ასამაღლებლად დავურთავ ხოლმე ამგვარ მცირე სასაუბროებს: I am second to none, therefore I can!¹⁸ უცხოურ ენაში არაფერია დაუძლეველი (თუნდაც აუდიტორიული საათების სიმცირისას), თუკი მოცემულობას გონების თვალთ შეხედავ და გადალახვას მოინდომებ.

18 მივაქციოთ ყურადღება: აქ კვლავ იდიომასთან გვაქვს საქმე: second to none = better than all others [8, 288]. ეს მაგალითი მით უფრო საგულისხმოა, რომ დაბალი სიხშირის გამო იდიომის შემადგენელი ელემენტები – რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი (ნაზგასმულია) წინამდებარე ანალიზში ჩართული არ არის.

ვებრუნდები თემატურ ბადესა და მასზე სავარაუდოდ აგებულ სასაუბროს. იგი დაგეგმა მასწავლებელმა (teacher-planner) და საუბრის სათანადო წარმართვას მანვე გაუწია ზედამხედველობა (teacher-observer; მასწავლებლის როლთა შესახებ [იხ. 2, 354]). გარკვევით უნდა ითქვას, რომ აუდიტორიის ამა თუ იმ აქტივობაში ჩართვისათვის მასწავლებელს არ ესაჭიროება რაიმე თეორიული შემზადება და მით უფრო – ინფორმაციით აუდიტორიის გადატვირთვა (აქ მხედველობაში მაქვს დეიქსი და მისი ფუნქციები). თავად სიტუაცია/ტიქსტი შეიცავს ქმნადობის მუხტს და იძლევა დისკურსის სტრუქტურირების საფუძველსა და საშუალებას. ესეც რომ არ იყოს, საკუთარ გამოცდილებასა თუ ინტუიციაზე დაყრდნობით მასწავლებლისათვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს ამ სახის საუბრის /დისკურსის დაპროგრამება და სათანადო მიმართულებით წარმართვა.

იდიომატიკის ანალიზი და შესწავლა, თუ შეიძლება ითქვას, დიდი ფუფუნებაა. საჭიროა ენის (ლექსიკა-გრამატიკის) ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე, რომ მასზე წარმატებით „დააშენო“ ყოველივე ის, რის შესახებაც აქ გვაქვს საუბარი. ერთსიტყვიანი და განკერძოებულად ხმარებული იდიომები, თუკი წინდებულის და არტიკლის საკითხი დაძლეულია, ამ მხრივ შედარებით ნაკლებ პრობლემას უქმნიან შემსწავლელს. განსაკუთრებულ სირთულეს კი, ჩემი გამოცდილებით, მომდევნო, ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა ჯგუფი წარმოადგენს.

შევაჯამებ ზემოთქმულს:

ზედსართაული და ზმნიზედური იდიომები წინადადებაში მეტწილად საკვანძო სიტყვისათვის დამახასიათებელ ფუნქციას ასრულებენ. ამასთან, ხშირად დაირთავენ დამხმარე სიტყვებს – წინდებულსა და კავშირს.

წინდებულიანი მართვა უშუალოდ უკავშირდება მეტყველების სიზუსტეს. სიზუსტის მისაღწევად ვიყენებ „გრაფიკულ ენას“ – მხედველობითი მეხსიერების იმგვარ საშუალებებს, როგორცაა ხაზგასმა, ფერადი კოდი, სქემები. განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის წინდებულის არაპროგნოზირებადი ხმარება, რასაც ზემოთ მხოლოდ საკითხის დასმის წესით შევხებ.

წინდებულიანი მართვის ფარგლებში რეალიზდება იდიომის იმგვარი ლექსიკური მახასიათებლები, როგორცაა სინონიმია, პოლისემია, სტრუქტურული და სემანტიკური არამდგრადობა თუ მდგრადობა და სხვ. ზედსართაულ იდიომათა ერთი (სპეციალურ ლიტერატურაში შედარების იდიომებად წოდებული) ჯგუფი ცხადად წარმოაჩენს იდიომატურობის მაღალმხატვრულ/მეტაფორულ საწყისს. წინადადებისაგან განკერძოებულად მდგომი ზოგიერთი ზმნიზედური იდიომა

ადვილად ითვისებს დეიქსისა და, აქედან გამომდინარე, დისკურსის სტრუქტურირებისა თუ ტექსტის ქმნადობის ფუნქციას.

რეზიუმე

სტატია შეეხება საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში იდიომატიკის სწავლების ზოგიერთ ასპექტს. მისი ადრესატია ანგლისტიკის სპეციალობის სტუდენტური აუდიტორია.

იდიომატიკა მოიცავს როგორც ლექსიკის, ასევე გრამატიკის ფართო არეალს შესაბამისი სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლებით. თავის მხრივ, ლექსიკური იდიომატიკა კვლევისა და შესწავლის ასევე რთული და მარავალწახნაგოვანი ობიექტია, რომლისგანაც აქ წარმოდგენილია მხოლოდ ნაწილი – ერთსიტყვიან და ერთზემეტსიტყვიან (სუბსტანციურ და ზედსართავ-ზმნიზედურ) იდიომათა სტრუქტურული ანალიზი.

ჩატარებული ანალიზი, რომლის შედეგებს აქ როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული კუთხით წარმოვადგენ, მოწმობს, რომ შემსწავლელის ენობრივი კომპეტენციის დონე დიდად განაპირობებს მეტყველებაში იდიომათა სიზუსტით რეალიზაციას; თუმცა ინგლისურის როგორც ღრმად იდიომატური ენის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ისაა, რომ მაღალი ცნობადობის სიტყვები ნორმიდან გადახვევით ადვილად ხდებიან იდიომატურად მარკირებულნი აქედან გამომდინარე მნიშვნელობის დაბინდულობითა და შეცდომის დაშვების მაღალ ალბათობით. სირთულის დასაძლევად მიზანშეწონილია: ა) იდიომის როგორც „მზა ბლოკის“ (ready-made chunk) დასწავლა მისივე კონტექსტურ გარემოცვაში; ბ) უკეთ დამახსოვრების მიზნით სხვადასხვა ვიზუალური საშუალებების გამოყენება (ფერადი კოდი, სქემები და მისთ.).

საანალიზო ერთეულები გამოირჩევიან როგორც წინადადების, ასევე დისკურსის სტრუქტურაში ჩართულობის მაღალი ხარისხით: წინადადებაში ისინი საკვანძო სიტყვისათვის დამახასიათებელ პირველად, ზოგჯერ ასევე მეორად ფუნქციას ასრულებენ; დისკურსის დონეზე კი დეიქტური მინიშნებებით, რაც თავისთავად ტექსტის ქმნადობის მუხტის შემცველია, ამ უკანასკნელის მთლიანობას განაპირობებენ და მისი განვრცობა-სტრუქტურირების წინაპირობას ქმნიან.

მიკროკონტექსტის ფარგლებში იკვეთება იდიომის როგორც ლექსიკური ერთეულის შემდეგი მახასიათებლები: პოლისემია, სინონიმია, სემანტიკური მდგრადობა და სხვ. სტრუქტურით განპირობებული მაღალმხატვრულობა მეტ-ნაკლები სიცხადით ყველა სახის ჯგუფში დასტურდება.

საკვანძო სიტყვები: იდიომატურობა როგორც ენის დიფერენციული ნიშანი; ენობრივი ერთეულის მეტაფორულობა და მდგრადობა; მეტაფორულობის ხარისხი და მნიშვნელობის დაბინდულობა; ლექსიკური vs გრამატიკული იდიომატიკა; ფრაზეოლოგიზმები vs ფრაზული ზმნები; ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურის რაოდენობრივი მხარე: ერთსიტყვიანი და ერთზე მეტსიტყვიანი იდიომები; წინდებულებიანი მართვა; სტრუქტურულ-სემანტიკური ტრანსფორმაცია; იდიომათა ფუნქცია მიკრო- და მაკროსინტაქსის დონეზე; დეიქტური მიმართებანი და იდიომათა ტექსტისწარმომქმნელი პოტენციალი.

დამოწმებანი

1. ლ. გოგუაძე. „აუდიტორიის პირისპირ“ (ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს. I). კადმოსი 4. 2012, 315-336.
2. ლ. გოგუაძე. „აუდიტორიის პირისპირ“ (ვის და როგორ ვასწავლი ინგლისურს. II). კადმოსი 6. 2014, 323-361.
3. R. Acklam, A. Grace. Total English. Upper Intermediate. Students' Book. 2009.
4. J. Seidl, W. McMordie. English Idioms and How to Use Them. Oxford University Press. 1979.
5. The Universal Dictionary of the English Language. Ed. by H.C.Wyld. London.
6. Longman New Universal Dictionary. Ed.-in-chief P. Procter. 1982.
7. A. Clark, J. Wilson. Intermediate Total English. Students' Book. 2009.
8. Longman Dictionary of English Idioms. Editorial Director Th. H. Long. Bath, 1980.
9. Longman Dictionary of Contemporary English. Ed.-in-Chief P. Procter. 1978.
10. M. Harris, D. Mower, A. Sikorzinska. New Opportunities. Upper Intermediate Students' Book. 2011.
11. Funk and Wagnalls Standard Desk Dictionary. New York. 1977.
12. A.F. Scott. Current Literary Terms. Cambridge UP. 1979.
13. M.Foley. Total English. Upper Intermediate. Workbook. 2006.
14. A.S. Hornby. Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English. 2010.
15. S. Kay, V. Jones. Inside Out. Student's Book. Intermediate. Macmillan. 2009.
16. G. Leech, J. Svartvik. A Communicative Grammar of English. Moscow. 1983.
17. R. Quirk, S. Greenbaum, G. Leech, J. Svartvik. A University Grammar of English. Moscow. 1982.
18. H. Шехтман. A Handbook of English Idioms and Idiomatic Usage. Л., 1971.